მესამე წელიწადი · ფასი 10 კ. · პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 12 ივნისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 21

## ჟურნალის შინაარსი

მეთაური—ჟორდანია—რამიშვილის ახალი ავანტიურა; უდიდესი პროვოკაცია—**ალ. ხელაძე**; ფხიზლად სადარაჯოზე—**ჭ. ელიაძე**; რა ქნას საქართველომ—**ლეო შენგელაია**; მთლიანი ფრონტით იმპერიალიზმის წინააღმდეგ.—**ლ. ფირცხალავა**; მომენტისთვის—**ა. ჩაჩუა**; გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი პეტრე გელეიშვილისადმი; პასუხი გრიგოლ ლორთქიფანიძეს—**ყარიბი**; კვირეული მიმოხილვა—**მიმომხილველი**; მეურნეობის საკითხები—**ნ. ელიავა**; რას გვეუბნება ციფრები—**მ. ჸვატაშიძე**; ომი და ხალხის კეთილდღეობა—**ივ. ლორთქიფანიძე**; ომის საშიშროების წინ—ექიმი **ივანე ელიაშვილი**; ყოფ. ახ. მარქსის-

## ჟორდანია-რამიშვილის ახალი ავანტიურა

დღევანდელი ჩვენი წერილი იმავე სიტყვებით უნდა დავიწყოთ, რომელსაც ვწერდით ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში ექვსიოდე თვის წინათ:

ქართველი ხალხის თავზე ხელ-ახლა გროვდება პროვოკაციისა და ავანტიურის შავი ღრუბლები; მის თავზე კიდევ დაიწყეს ფრენა საზიზღარმა შავმა ყორნებმა!

ბევრნი არიან ჩვენში ურწმუნო თომები, რომლებსაც ჩვენი ასეთი განცხადება გადამეტებულად, უსაფუძვლოდ ეჩვენებათ. ბევრიდან გვსმენია ამგვარი საყვედურიც. ბედნიერი ვიქნებოდით, რომ ჩვენდამი ასეთი საყვედური მართალი გამომდგარიყო. მაგრამ, საუბედუროდ, მართალი ვიყავით მაშინ, როცა ზემოდ მოყვანილი სიტყვებით მივმართავდით ქართველ საზოგადოებას და კიდევ უფრო მართალი ვართ დღეს, როცა იმავე სიტყვებს ვიმეორებთ.

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს უსაშინელესი მომენტია მთელ სამყაროში. დღეს მსოფლიო იმპერიალიზმის ბელადმა დიდმა ბრიტანეთმა ხელ-ახლა ააფრინა ომის საზიზღარი ფურიები, დღეს მთელი ქვეყანა მოცულია თოფის წამლისა და მოწამლული გაზების სუნით, მთელი ქვეყანა ძრწის მსოფლიო ომის მოლოდინში.

და სწორედ ამ დროს ქართველ ხალხს სისხლის მორევში შეცურებას უპირებენ მისი ულირსი შვილები. ყოფილი ს.-დ. პარტიის ოფილი ლიდერები, ჟორდანია-რამიშვილი, უდიდეს პროვოკაციასა და ავანტიურას ახვევენ მას თავზე, ისეთ ავანტიურას, რომელთან შედარებით 1924 წლის აგვისტო მონაგონიც არ იქნება.

ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს და დაგვიწერია, რომ ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობა" ქართველი ხალხის ბედს მსოფლიო იმპერილიზმისა და საბჭოთა კავშირს შორის გართულებას უკავშირებსო. დღეს ეს გართულება ფაქტია. საუბედუროდ, ფაქტია ისიც, რომ ეს ჩვენი მოლოდინი გამართლდა და ჟორდანია-რამიშვილები სიტყვიდან საქმეზე გადადიან.

ამ ქართველი ხალხის ბოროტმა სულებმა უკვე სცადეს თავისი საშინელი პროვოკაციის გადმოსროლა საბჭოთა საქართველოში, მათ უკვე დაუსახავთ მიზნად სამოქალაქო ომის ცეცხლის გაჩაღება ჩვენში. ვერც კი მოასწრო ინგლისმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტა, რომ ამოძრავდა მთელი ემიგრაცია. და ჩვენი ყოფილი ამხანაგები აბა ვისზე უარესი არიან, რომ ისინიც არ ამოძრავებულიყვენ? და იმათ კიდეც დაიწყეს ემისარების გზავნა ქართველ ხალხის მყუდრო ცხოვრების ასარევ-დასარევად, მისი პროვოკაციისა და ავანტიურის მორევში ჩასათრევად.

მკითხველს არ ეგონოს, რომ ჩვენ აქ მეტაფორებითა და აწეულის კილოთი ვლაპარაკობთ. არა. როცა ასე ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვაქვს ნამდვილი ფაქტი, ხელთა გვაქვს ნამდვილი დოკუმენტები, მრავალ ჯერ აწონილ-დაწონილი და შემოწმებული. ეს დოკუმენტები—ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის საპროგრამო წერილებია, რომლებითაც ისინი მომართავენ ქართველ ხალხს და ურჩევენ მას ისარგებლონ ინგლისსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტით, მოაწყონ აჯანყება, აირჩიონ დროებითი მთავრობა და სხვა და სხვა.

ამ მონდობილობით და აქ აჯანყების ხელმძღვანელ ემისრად საქართველოს ამ ბოროტმა სულებმა წარმოგზავნეს ჩვენში ცნობილი პატარა კაცუნა ვანო ქარციეაძე, რომელიც რამიშვილის მინისტრობის დროს მასთან მილიციაში მსახურობდა. აი, ეს ყოფილი მილიციელი ქარციეაძე წარმოგზავნეს ჟორდანია-რამიშვილმა აჯანყების ხელმძღვანელად, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო საქართველოს საზღვარზე ფეხის გადმობიჯება, ხელში ჩაუვარდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტებს და დღეს როგორც ეს ემისარი, ისე ჟორდანია-რამიშვილის ქართველი ხალხისადმი მოძღვნილი საშინელი საჩუქარიც საბჭოთა მთავრობის ხელშია.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს საშუალება უფრო დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველებს ეს დოკუმენტები. ხოლო ურწმუნო თომების დასამშვიდებლად ვაცხადებთ, რომ ამ დოკუმენტებს, ესე იგი ჟორდანია და რამიშვილის პროვოკაციონულ წერილებს ნაწილობრივ მაინც ჩვენ გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის

ერთ-ერთ მახლობელ ნომერში. მაგრამ რომ ვინმეს იჭვი არ შეუვიდეს ამ დოკუმენტების სინამდვილეში, ჩვენ ვეცდებით მკითხველებს მივაწოდოთ ამ წერილების ფოტოგრაფიული ასლი.

ვიმეორებთ: ჩვენ დღეს არ შეგვიძლია დასახელებული დოკუმენტების მთელი შინაარსის მოყვანა. მხოლოდ ერთი რამე კი შეგვიძლია ვთქვათ: ნოე რამიშვილის წერილიდან ვტყობილობთ, რომ ემიგრაციაში მყოფი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ვერ არიან ერთმანეთთან კეთილგანწყობილებაში. ნაციონალ-დემოკრატიის პარტიიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი უჭერს მხარს ს.-დემოკრატიასთან და ს.-ფედერალისტებთან კავშირს და საერთო მოქმედებას. ცნობილი გენერალი კვინიტაძე და კიდევ უფრო ცნობილი მიხაკო წერეთელი გამოყოფიენ გვაზავასა და მის ამხანაგებს და შეერთებიან რუსის მონარქისტებს.

ამრიგად დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ს. ს.-დ. პარტიის ყოფილი ლიდერები, რომლებიც ექვსი წელიწადია რაც ევროპაში სამშვიდობოზე გახიზნულები არიან, ქართველი ხალხის სახელით ვაჭრობენ, აგვისტოს ავანტიურას არ სჯერდებიან და კიდევ ახალს უსაშინელეს ავანტიურას უმზადებენ ქართველ ხალხს.

ან კი რა ენაღვლებათ? ისინი და მათი ოჯახის წევრები ხომ საზღვარგარედ უზრუნველყოფილი არიან? თუ საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდება, თუ აქ ქართველი ხალხის სისხლი დაიღვრება, მათ ამით რა დააკლდებათ?

ამიტომ ჩვენი ვალია ავუხსნათ ხალხს, ჩვენი ვალია მას შევატყობინოთ, რომ დღეს მისი სახელით, მისი სისხლით ყოვლად უსინდისო ვაჭრობას აწარმოებენ ქართველი ემიგრაციის ლიდერები, რომ ეს უღირსი შვილები უდიდეს საფრთხეში აყენებენ ქართველ მშრომელ ხალხს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქართველ ხალხს დღეს გაცილებით მეტი ხიფათი მოელის ვიდრე 1924 წ. აგვისტოს ავანტიურამ მიაყენა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა თვით ქართველმა საზოგადოებამ, მისმა ყველა ნაწილებმა თვითონ გამოიღონ თავი, თვითონ მიიღონ ენერგიული ზომები ამ საშინელი ავანტიურის წინააღმდეგ. თუ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა მოულოდნელად დაგვატყდა თავს და ქართველ საზოგადოებას საშუალება არ ჰქონდა მის [illegible]მდეგ წინდაწინვე მიეღო ზომები, დღეს სულ სხვა პირობებში ვართ. დღეს ყველაფერი აშკარაა. დღეს ყველამ იცის, რომ ქართველი ემიგრაციის ლიდერები პროვოკაციას გვიმზადებენ, დღეს ისინი სულაც არ მალავენ თავის დემონიურ ძრახვებს, ისინი სრულიად აშკარად გამოდიან ქართველი ხალხის მესაფლავეების როლში.

მაშასადამე თვითონ ხალხმა ხმა-მაღლა უნდა დაგმოს ამ პროვოკატორების პროვოკაციული ნაბიჯები.

და ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი მშრომელი ხალხი ამას შესძლებს; ის ღირსეულ პასუხს გასცემს ჟორდანია-რამიშვილსა და მათ ემისრებს. ჩვენ იჭვი არა გვაქვს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი იარაღით ხელში, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის საბჭოთა საქართველოს.

# უდიდესი პროვოკაცია

პოლონეთში მოკლული იქნა საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ვოიკოვი. ის მოკლა რუსის მონარქისტმა ქ. ვარშავაში, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობათა დარბევა მოხდა ჯერ ჩინეთში და შემდეგ ლონდონში. ეს მესამე ფაქტია საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ მიმართული. ეს უდიდესი და უსაზიზღრესი თავდასხმაა მშრომელთა სახელმწიფოზე.

ვინ ჩაიდინა ეს საზიზღარი მკვლელობა?
რუსის მანარქისტებმა, იმ ხალხმა, რომელმაც დაკარგა თავის ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიები, რომელიც გარიყა პროლეტარულმა რევოლიუციამ. აი, სწორედ ეს ისტორიის მიერ საუკუნოდ განწირული ხალხი ვერ ურიგდება მუშურ და გლეხურ ხელისუფლებას. ყოფილი თავადები, გრაფები, უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატია, ყოფილი მსხვილი მრეწველები და ვაჭრები.—აი ის ხალხი, რომელიც შეადგენს მონარხისტების მასსას. ეს ხალხი დღეს ემიგრაციის სახით, გაბნეულია სხვადასხვა კუთხეში, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში. მათ თავი მოუყრიათ: ლონდონში, ბერლინში, პარიზში, პრაღაში და სხვა... მონარქისტების ამ ბრბოს არჩენენ, პურს აძლევენ, პენსიას უნიშნავენ დასახელებული სახელმწიფოების მთავრობები და უფრო კი ინგლისის კონსერვეტორული მთავრობა... და დღეს, როცა ინგლისის მთავრობამ უკვე შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა, როცა ინგლისი მთელს თავისი ძალ-ღონით ცდილობს საბჭოების წინააღმდეგ ერთი მთლიანი ფრონტი შექმნას, ასეთ დროს მისთვის პატარა ფინიების სამსახური არ იქნება უსარგებლო. ამიტომ არის, რომ ემიგრაცია ამოძრავდა, რომ ძველი რუსეთის ყოფილი ადამიანები ახმაურდენ და მათი წევრები საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო წევრების ტერორისტებად გამოდიან... მაგრამ მტერს ერთი რამ ავიწყდება; მას ავიწყდება, რომ ქვეყნის დიქტატორს, პროლეტარიატს ასეთი ნემსების ჩხვლეტით ვერავინ შეაშინებს. რევოლიუციონურ პოსტზე ერთი დაღუპული ამხ. ვოიკოვის ნაცვლად პროლეტარიატს ათასობით და ათიათასობით მოეპოვება სოციალიზმისათვის და სბჭ. კავშირისთვის თავდადებული მებრძოლები... პროლეტარიატი ვალ ქვეშ არავის დარჩება. ეს ყველაზე კარგად უნდა ახსოვდეს ყველა ჯურის ემიგრანტებს.

ვერც ინგლისი შექმნის საერთო ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კაპიტალისტური ეკონომიკა და პოლიტიკა დღეს თვით განიცდის რღვევსა და ნგრევის პროცესს; ბურჟუაზიული სახელმწიფოები თვითონ არიან ურთიერთ შორის ღრმა და გამოუვალ წინააღმდეგობაში, რაც მათ არ აძლევს საშუალებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო ფრონტი შექმნან და საომარი მოქმედება გააჩაღონ. დღეს ამას ჩინებულად გრძნობს ბოლდუინის კონსერვატორული მთავრობა. ის ხედავს, რომ საბჭოთა წინააღმდეგ ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა არ ხერხდება, რომ წითელი სახელმწიფოების ასე გარიყვა არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც მას ეგონა. ამიტომ ის მიმართავს პროვოკაციას. აწარმოებს-თავდასხმებს როგორც ჩინეთში, ისე ინგლისში და სხვა სახელმწფოებშიც, რის მაგალითიც ჩვენ ვარშავაში დავინახეთ ამხ. ვოიკოვის მკვლელობის სახით. ასეთი პროვოკაციით სურს ინგლისის მთავრობას ომი გამოცხადებინოს მშრომელთა სახელმწიფოს და მით სახელი გაუტეხოს მას. მართლაც რომ ეს მოხდეს, ეს უდიდესი გამარჯვება იქნებოდა ინგლისის დიპლომატიისა. მაშინ ის უფრო აქტიურად ჩაერეოდა ჩინეთის რევოლიუციაში, სავსებით გასრესდა მას და მორალურად და პოლიტიკურად იმას მოიმიზეზებდა, რომ მე კი არა, ომი საბჭოთა კავშირმა გამოაცხადაო. აი საით იყო მიმართული ჩინეთში საბჭოთა საელჩოზე თავდასხმა.

როცა საბჭ. კავშირი არ აყვა ინგლისის შუბლმაგრების ასეთ პროვოკაციას და ჩინეთს ომი არ გამოუცხადა, მაშინ თვითონ ლონდონში შეეცადა ბოლდუინის მთავრობა ისეთივე პროვოკაციის მოწყობას. დაესხენ თავს ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობას, დაუწყეს ძებნა რაღაც მათთმიერვე მოჭორილ „დოკუმენტს“ და ბოლოს შესწყვიტეს ყოველგვარი კავშირი საბჭოთა კავშირთან.

როცა ინგლისის შუბლმაგრები ამითაც ვერ დასწვდენ მიზანს, მათ მოგვიწყვეს ვარშავის საზიზღარი პროვოკაცია: ნაქირავები მკვლელის ხელით პოლონეთის დედა ქალაქში მოგვიკლეს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი და მით ფიქრობენ საბჭოთა კავშირსა და პოლო-

ნეთს შორის კონფლიქტი შექმნან და ეს ორი სახელმწიფო ომის ალში გახვიონ.

ამხ. ვოიკოვის ფიზიკური მკვლელი მართალია რუსი მონარქისტია, მაგრამ, ამ ბოროტმოქმედების იდეური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ინგლისის მთავრობაა. ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირს ედავებოდა: ჩვენს შინაურ საქმეებში ერევითო. ნამდვილად კი, მან თვითონ გამოგზავნა საბჭოთა კავშირში, მთელი რიგი ჯაშუშებისა, მთელი ბრბო ტერორისტებისა რუსი მონარქისტების წრეებიდან, რათა ინგლისელებისათვის, მიეწოდებიათ საჭირო ცნობები და აგრეთვე ეწარმოებიათ ტერორისტული აქტები. ეს ტერორისტული აქტები ინგლისის კარნახით დაიწყო. ვარშავისა და ლენინგრადის სისხლიანი საქმეები ამის მაჩვენებელია.

ტერორი, აფეთქება, დაწვა.—აი, როგორი მეთოდით ფიქრობს საბჭოთა კავშირის დაცემას შუბლმაგრების მთავრობა.

ემიგრაცია, შავრაზმული, ემიგრაცია ყვითელი—აი ის ხალხი, რომლებიც ტეხნიკურად და ფიზიკურად ატარებენ ცხოვრებაში ინგლისის იმპერიალისტების დავალებას.

ჩვენი, ცნობებით ვიცით, რომ, ქართული ემიგრაციაც არ დაერიდება ასეთ საშუალებებს. მათაც ნაკისრები აქვთ ინგლისის აგენტის როლი ითამაშოს ჩვენში. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ქართული ემიგრაციის ლიდერები უდიდეს პროვოკაციას უმზადებენ ქართველ ხალხს. ისინი ფიქრობენ გაიმეორონ აგვისტოს ტრაგედია კი არა, ათჯერ, ოცჯერ მეტი უბედურება მიაყენონ ხალხს. მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ქართველი მშრომელი ხალხი არ გაყვება ინგლისის ოქროთ მოსყიდულ პროვოკატორების ფეხის ხმას. პირიქით: ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი იარაღით ხელში დაიცავს თავის საბჭოთა საქართველოს. ქართველ მშრომელ მოსახლეობას სურს მოსვენება. სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, ეკონომიკის და კულტურის აყვავება. და ასეთ დროს საბჭოთა კავშირთან საომრად აღრენილი ინგლისის მთავრობა ცდილობს ემიგრაციის ხელით დაატრიალოს ჩვენს ქვეყანაში ომის საშინელება. ის ცდილობს ამისთვის გამოიყენოს საბჭოთა კავშირის ყველა პუნქტები, ის ცდილობს ყოველგან გამოიწვიოს უკმაყოფილება, მისთვის სულერთია იქნება ეს საქართველო, სომხეთი, თუ ბელორუსია. ტერორით ფიქრობს ის ხალხის დაფრთხობას, პანიკის შექმნას, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შეჩერებას. რევოლიუციონური წეს-რიგის დარღვევას და მით საბჭოთა წყობილების აფეთქებას.

სცდება შუბლმაგართა მთავრობა. მათი მოსყიდული ემიგრაცია რუსი მონარქისტები იქნებიან ისინი თუ ყოფილი სოციალისტები ქართველი ემიგრანტების სახით, ვერაფერს გააწყობენ. ჯერ ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაგალითი, რომ რომელიმე მთავრობა და ისიც ასე ვეებერთელა კავშირებისა, ასე ინდივიდუალურ ტერორს დაეშინებიოს და ხელიდან იარაღი გაეგდებიოს.

მით უმეტეს, ეს შეუძლებელია რევოლიუციონური, რევოლიუციის ცეცხლის ალში შობილი მთავრობის შესახებ. კომუნისტურმა პარტიამ უვნებლად გადურჩა ინგლისისა და არა მარტო ინგლისის უსაშინელეს ინტერვენციას; გაუძლო საალყო მდგომარეობას. კიდევ მეტი: კომუნისტურმა პარტიამ იმ დროს, როცა ის დღევანდელთან შედარებით სუსტი და უძლური იყო, დაამარცხა ყოველი მხრიდან მოსული მტრები, ბიბლიურ გმირ სამსონსავით მოიკრიბა ძალ-ღონე და ფენიქსებრ განახლებული და გაძლიერებული გამოვიდა უსწორო, ომებისაგან.

და დღეს, როცა საბჭოთა მშრომელი ხალხები თავისი არსებობის ათი წლის თავს დღესასწაულობს, როცა კომუნისტურმა პარტიამ უკვე შექმნა ფოლადისებური სახელმწიფო, როცა ჩვენი თავდაცვის უნარიანობა სათანადო სიმაღლეზე სდგას, როცა ჩვენი წითელი ჯარი, შეიარაღებულია არა მარტო ტეხნიკური სამხედრო იარაღებით არამედ შეიარაღებულია რევოლიუციონური შეგნებითაც, რომ ის იცავს თავის საკუთარ, სახელმწიფოს, თავის საკუთარ თავს, როცა მუშათა კლასი და საერთოდ მშრომელი მასსები ორგანიულად შესისხლხორცებულია საბჭოთა წყობილებასთან—ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის დამძლევი ძალა ჩვენ არსად გვეგულება.

ამიტომ ჩვენ მიუხედავათ ამისა საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს მიმართავს, რომ ქვეყანას ააშოროს ომის საშინელება. ის არ აყვება პროვოკაციას, მაგრამ თუ ომი აუცილებელი შეიქნა, თუ ჩვენ იძულებული ვიქნებით გადმოსროლილი ხელთათმანი ავიღოთ, მაშინ მტრებს მთელი თავის სიმძიმით დაეცემა თავზე საბჭოთა სოციალისტური პროლეტარიატისა და მშრომელი მასების მთელი რისხვა და მაშინ ვნახოთ ვინ გამოვა საბოლოოდ გამარჯვებული.

ჯერ კი ჩვენ ვიტყვით: გაუმარჯოს მშვიდობიან შრომას! ძირს ომი!

**ალ. ხელაძე**

# ფხიზლად სადარაჯოზე

სამოქალაქო ომში დამარცხებული თეთრგვარდიელთა ხროვა დროებით იძულებული გახდენ თავიანთი სამოქმედო ასპარეზი შეევიწროვებიათ. მთელ რიგ წლების განმავლობაში ისინი კმაყოფილდებოდენ ჯაშუშური ცნობების მიწოდებით თავიანთი დამქირავებლებისათვის. უკანასკნელ თვეებში ჩვენ მოწამენი გავხდით საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის გართულებისა.

ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის გაღრმავებამ თავზარი დასცა ინგლისის იმპერიალიზმს. ამ რევოლიუციაში მათ დაინახეს თავიანთი აღსასრულის მოახლოვება.

ცნობილია, რომ, ყოველგვარ მოძრაობას, მიმართულს ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კონსერვატიული მთავრობა აწერს და მის პასუხისმგებლად გამოჰყავს საბჭოთა კავშირი. ასევე მოხდა ჩინეთშიაც. ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობის სულისჩამდგმელებათ მათ დასახეს საბჭოთა მთავრობა და მისი წარმომადგენლობა ჩინეთში. სწორედ ამიტომ ინგლისის აგენტებმა ჩან-ძო-ლინის სახით დაარბიეს ჩვენი წარმომადგენლობის შენობები და დააპატიმრეს მთელი რიგი თანამშრომლებისა.

ჩან-ძო-ლინის მიერ დაწყებული თავდასხმა ჩინეთიდან ინგლისში გადავიდა, სადაც გაჩხრეკილ იქნა საბჭოთა კავშ. სავაჭრო წარმომადგ. შენობაში. მაგრამ კონსერვატორების სამწუხაროდ, ამ გაჩხრეკებმა ვერ მისცეს მათ ისეთი ხელშესახები საბუთები, რომლის მიხედვით შესაძლებელი ყოფილიყო დადასტურება საბჭოთა მთავრობის დამარღვეველი მუშაობის ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში კონსერვატორებმა საქვეყნოთ შეირცხვინეს თავი და სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი კარგად გრძნობდენ, თუ რა ზარალს მიაყენებდა ეს აქტი ინგლისის მრეწველობას.

კონსერვატორები დარწმუნებული იყვენ, რომ მათ მაგალითს გაყვებოდა ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებიც და ისინიც შესწყვეტდენ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ამრიგად შეიქმნებოდა ის მთლიანი ფრონტი რომლის განხორციელებასაც დიდი ხანია ცდილობს ინგლისის მთავრობა.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი განსახორციელებელია, როგორც მის ავტორებს ეგონათ.

თუ თვალს გადავავლებთ ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ პერიოდს, ნათლად დავრწმუნდებით, რომ ინგლისი ამ საკითხში განმარტოებული დარჩა. მიუხედავათ წინასწარი მოლაპარაკებისა, საფრანგეთის მთავ-

რობა არ დაეთანხმა ინგლისის მთავრობის მოსაზრებებს ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. რა თქმა უნდა საფრანგეთშიაც არსებობს მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს ინგლისის მაგალითზე მიბაძვას, მაგრამ ისინი დღეს უმცირესობაში არიან.

წინასწარი ანგარიშით, უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ კონსერვატორებს ფაშისტურ იტალიასთან. იქ ამის შესახებ, ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინად იყო გაგზავნილი ფინანსთა მინისტრი ჩერჩილი, მაგრამ თუ დავუჯერებთ მთავრობასთან ახლო მდგომ გაზეთ „პოპოლო დ,იტალია“-ში გამოქვეყნებულ მუსოლინის ძმის წერილს, რომელიც ამბობს: „ფაშისტურ იტალიას, რომელმაც სძლია ბოლშევიკური საფრთხე, შეუძლია დაიკავოს ანტი-ბოლშევიკურ გალაშქრებაში მეთვალყურეობის პოზიცია“-ო დავრწმუნდებით, რომ იტალიის მთავრობას არ სურს სათამაშო საგნათ გახდეს ინგლისის კონსერვატორების ხელში. მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ თანამშრომლობას. მით უმეტეს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იტალიას არ გააჩნია საკუთარი ნახშირის მადნები და მისი მრეწველობა ამ მხრივ მთლიანად დამოკიდებულია გარეშე ქვეყნებზე, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით, ის კიდევ უფრო დამოკიდებული შეიქნება ინგლისის მთავრობაზე.

როგორც სჩანს, ეს გარემოება კარგად აქვს გათვალისწინებული იტალიის მთავრობას და სწორედ ამიტომაა მისი უარყოფითი დამოკიდებულება მთლიანი ფრონტისადმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რაც შეეხება გერმანიას, აქ კითხვა უფრო ნათელია და აშკარაა. გერმანიამ პირველმა დასდო რაპალოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, ამას მოჰყვა სავაჭრო და შემდეგ ბერლინში ხელმოწერილი საუზრუნველყოფო ხელშეკრულობები. ყველა ამ ნაბიჯების გადადგმას გერმანიას უკარნახებდა მისი სასიცოცხლო ინტერესები.

ვერსალის ზავმა, რომლის მიხედვით გერმანიამ დაჰკარგა მთელი თავისი კოლონიები. საკუთარი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი და ამასთან ერთად იკისრა ათეული მილიარდების კონტრიბუციის გადახდა, აიძულება მას მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირის ქეყნებთან.

ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ამ დღეებში ამხ. ჩიჩერინის შეხვედრით შტრეზემანთან, სადაც ამ უკანასკნელმა გატეგორიულად განაცხადა გერმანიის ნეიტრალიტეტის შესახებ ინგლის-საბჭოთა კავშირთან მოსალოდნელ კონფლიქტის შემთხვევაში.

აი, ის სამი უმთავრესი სახელმწიფოები, რომელთაც შეუძლიათ გადამჭრელი როლი ითამაშონ მთლიანი ფრონტის შექმნის საქმეში.

ახლა თვალი გადავავლოთ დანარჩენ წვრილ სახელმწიფოებს, რომელთა ხელით კონსერვატორებს სურთ თავიანთი საკუთარი საქმის გაკეთება.

ოსმალეთს, რომელიც საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობაშია, კარგად ახსოვს ინგლისის კონსერვატორების ოინები ჯერ საბერძნეთ-ოსმალეთის ომისა და შემდეგ მოსულის საკითხის გადაწყვეტის დროს. ოსმალეთის მთავრობას არ შეუძლია აჰყვეს ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ფეხის ხმას.

ვერც ბალტიის განაპირა სახელმწიფოებთან შესძლო ინგლისმა მთლიანი ფრონტის შექმნა, პირიქით, ლატვიასთან ამ დღეებში დადებული იქნა სავაჭრო ხელშეკრულება.

დარჩა ორი სახელმწიფო, რუმინია და პოლონეთი. პირველში ამ დღეებში მოხდა მთავრობის ცვლილება. ავერესკუს ფაშისტური მთავრობა შესცვალა კოალიციონურმა მთავრობამ, რომელთა უმრავლესობა ლიბერალებისაგან შესდგება. ამ მთავრობამ უკვე გადასდგა პირველი ნაბიჯი. მან გააუქმა ცენზურა, გადააყენა შავრაზმელი გენერლები და სხვა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუმინიის ახალი მთავრობა საბჭოთა კავშირთან ეხლავე დაიჭერს ნორმალურ ურთიერთობას, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ ამ მოკლე ხანში კონსერვატორებს არ ძალუძთ რუმინიის გადაბირება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლათ.

ასეთ პირობებში კონსერვატორების ერთად-ერთ იმედათ დარჩა პოლონეთი. ამ მიზნით მათ 7 იენისს დაქირავებული ბანდიტის ხელით მოჰკლეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ვოკოვი. ეს მკვლელობა რომ ინგლისის კონსერვატორების მიერ არის მოწყობილი, ამაში დღეს ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესოა პოლონეთის მთავრობის დამოკიდებულების გამორკვევა ამ მკვლელობისადმი.

ჯერ-ჯერობით პოლონეთის მთავრობას არ გაუცია პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც ამხ. ლიტვინოვის ხელმოწერით გადაეცა მას, მაგრამ ის ფაქტი, რომ პოლონეთის მთავრობა გამოსთქვამს გულწრფელ მწუხარებას მკვლელობის გამო, ამასთანავე ის თანახმაა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებლო კომისიაში და ამასთან დაკავშირებით პოლონეთში უკვე დაიწყეს დაპატიმრებანი რუსეთის მონარქისტული ელემენტების, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არც პოლონეთის მთავრობას სურს ინგლისის კონსერვატორების საქმე აკეთოს.

ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ რა პოზიციას დაადგება პოლონეთის მთავრობა.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკვე მიიღო გადამჭრელი ზომები თეთრგვარდიელთა დამრღვეველი მუშაობის საწინააღმდეგოდ. მან გამოაქვეყნა მთელი რიგი დოკუმენტები, რომელნიც ფარდას ხდიან თეთრგვარდ. ტერორისტულ და ჯაშუშურ საქმიანობას, რომლის სათავე გამომდინარეობს ინგლისის კონსერვატორების მთავრობისაგან. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ამ მუშაობის მთავარ ხელმძღვანელებს.

დადგა დრო, როდესაც რევოლიუციის ინტერესები კვლავ მოითხოვენ სასტიკი ზომების მიღებას. გათავხედებული მონარქისტები, რომლებმაც ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტაში დაინახეს თავიანთი მიზნების განხორციელების მოახლოვება, სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

მეოცე საუკუნეში ჩვენ ველარ გავიმეორებთ პარიზის კომუნის შეცდომებს. არავითარი ლმობიერობა არაა დასაშვები იმათ მიმართ, ვინც ცდილობს თვითმპყრობელობის ტახტის აღდგენას და მუშათა და გლეხთა მასების კვლავ უღელში შებმას. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ველარ შეურიგდება ჟანდარმების მათრახებს, გლეხობა ვერ მოითმენს მიწების კვლავ თავად-აზნაურობის ხელში გადასვლას.

თეთრგვარდიელთა დამარღვეველ მუშაობას ჩვენ უპასუხებთ ენერგიის გაათკეცებით სააღმშენებლო ფრონტზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ მომენტში მშრომელ ხალხთან იქნება ყველა პატიოსანი მოქალაქე, რომელიც გულუბრყვილო ჟინიანობით არაა შეპყრობილი.

ამ მხრივ უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ინტელიგენციის აზრსაც. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს და მთელს კულტურულ კაცობრიობას, რომელშიაც მოუწოდებს მათ ხმა აღიმაღლონ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. გვჯერა, რომ ეს მოწოდება შესაფერ გამოხმაურებას ჰპოვებს ქართველი ინტელიგენციის ფართო წრეებში და დაარწმუნებს იმათაც, რომლებიც ჯერ კიდევ განზე იდგენ სოციალისტური აღმშენებლობისაგან, რომ საქართველოს მომავალი განვითარების და აღორძინების ბედი მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის არსებობასთან.

მშრომელი ხალხის მოვალეობაა ერთის წუთითაც არ შეუფერხოს ის გიგანტური აღმშენებლობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ყველანი უნდა გაიმსჭვალოს იმ რწმენით, რომ სამეურნეო ფრონტზე გამარჯვება ჩვენ მოგვანიჭებს საბოლოო გამარჯვებასაც.

**ს. ელიაძე.**

# რა ქნას საქართველომ

თანამედროვე თაობას არაჩვეულებრივ პირობებში მოუხდა ცხოვრება და მუშაობა. ის, რაც ჩვენ **ვნახეთ და განვიცადეთ, სასწაულს უდრის.** ვინ იფიქრებდა, რომ სიონისტების ოცნება სინამდვილეთ იქცეოდა? ვინ იტყოდა 10 წლის წინედ, რომ სამად გაჩეხილი პოლონეთი აღსდგებოდა, ხოლო საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა? ვის შეეძლო იმის თქმა, რომ გლეხურ ჩამორჩენილ რუსეთში საბჭოთა წესწყობილება დამყარდებოდა.

ცხოვრებამ წარმოუდგენელი სიურპრიზები შეგვთავაზა: ჩვენს წინაშე გადაიშალა ურთულესი მოვლენები. ისტორიამ გაგვაბრუა, გონება დაიბნა.

აი ფაქტების მთელი რიგი, რომელიც ამას ადასტურებს.

კავკასიის დერეფანში ისტორიის მიერ მომწყვდეული, უდიდეს შარა-გზაზე გაჭიმული, ქართველი ერი მუდა იდგა უდიდეს საფრთხის წინაშე. მის წინ მუდამ იდგა ყოფნა - არ ყოფნის საკითხი. ისტორიულ ძალთა ჭიდილში საქართველო სიკვდილისაგან დაიცალა. „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“—არ გამოდგა საკმარისი.

ისტორიულმა პროცესმა წარმოშვა გიგანტიური გაერთიანებანი—ეროვნული, სახელმწიფოებრივი. საქართველო მოემწყვდა ორ დიდ სახელმწიფოს შუა. ისტორიულმა აუცილებლობამ წარმოშვა **ორიენტაციის საკითხი.** რა არის პატარა ერისათვის ორიენტაციის საკითხი. იგი არის **ეროვნული გაჭირვების საკითხი**—არც მეტი, არც ნაკლები. რა ქნას პატარა ერმა, როცა ის ვერ უმკლავდება ისტორიის აზობოქრებულ ტალღებს, როგორ შეინარჩუნოს მან თავისი კულტურა, ნივთიერი დოვლათი და ფიზიკური არსებობა, როცა ის გარს შემორტყმული ურდოებით ან მძლავრ სახელმწიფოებით? სწორედ აქ იბადება ორიენტაციის საკითხი, საკითხი მოკავშირის, მეგობრისა და მოკეთის შეძენისა.

ასი წლის წინეთ საქართველომ რადიკალურად გადასწყვიტა ორიენტაციის საკითხი: ის რუსეთს შეუერთდა. 1918 წელს საქართველომ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. **მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა, რისთვისაც არავინ ემზადებოდა.**

1921 წელს ისევ დაისვა ორიენტაციის საკითხი ან უკეთ მისი რესტავრაციის პრობლემა.

ჩვენ განვიცადეთ უდიდესი იმპერიალისტური ომი, იგი უმაგალითო იყო თავის მასშტაბით და მსხვერპლთა რაოდენობით და ბუმბერაზი იმ პერტურბაციებით, რომელიც მას მოჰყვა, მაგრამ ყველაზე საოცარი ამ ომში იყო, რა თქმა უნდა, არა ის, რომ დიდ ხანს გრძელდებოდა, უამრავი მსხვერპლი შეიწირა და თან ჩაითრია თითქმის მთელი მსოფლიო,—ყველაზე საოცარი ჩვენთვის აქ ის არის, რომ მთელი ევროპის სახელგანთქმული სოციალისტები მონარქებსა და ბურჟუაზიას გვერდში ამოუდგენ.

მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარე ე. ვანდერველდე ბელგიის კაროლის მინისტრი გახდა, გენდერსონი და მისი ამხანაგები ინგლისის კაროლის მთავრობას ამაგრებდენ, გედი, სამბა და ალბერტ თომა საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობაში შედიოდენ.

გერმანიის უძლიერესი სოციალ-დემოკრატია ვილჰელმს გვერდში ამოუდგა, პლეხანოვი, პოტრესოვი, ნ. ჟორდანია (იხ. „ომი და ზავი“) იმპერიალისტურ ომს ამართლებდენ და ნიკოლოზის მთავრობას მხარს უჭერდენ.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც იგივე პირები, როგორც ძალიერესად გავლენიანი სოციალისტები, ათეული წლების განმავლობაში სწერდენ და საქვეყნოთ ქადაგებდენ.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის თვითმპყრობელობა. მრავალი თაობის ოცნება სინამდვილედ იქცა.

ჩვენ,—ძველი რომანტიკოსები და რბილ—კანიანი იდეალისტები,—სიხარულმა დაგვათრო, შექმნილ მდგომარეობას ალღო ვერ აუღეთ, დავიწყეთ ყველა გამვლელგამომვლელის გულში ჩახუტება და კოცნა; მაგრამ რომანტიული გაზაფხული მალე გათავდა, მოვიდა მაგარი ჯიშის ხალხი და კალინიჩებმა (მაგ. ტურგენევის „ხორი კალინიჩ“) პოლიტიკური ხუხულა მიანგ-მოანგრია: გარეკა დამფუძნებელი კრება, უკუაგდო დემოკრატია და მისი თავისუფლებანი და გამოაცხადა საბჭოთა წესწყობილება.

ეს ჩაიდინა სწორედ იმ ხალხმა, რომელიც ჩვენთან ერთად ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა დამფუძნებლი კრებისა და პოლიტიკურ თავისუფლებისათვის.

ამნაირად სიურპრიზი სიურპრიზს ემატებოდა.

ჩვენ ვებრძოდით მონარქიას და ბურჟუაზიას, მაგრამ არ გვენახა, რომ სოციალისტები (ისიც საუკეთესონი) მონარქიასა და ბურჟუაზიას იცავდენ.

ჩვენ გვინახავს და საკუთარ ზურგზე გამოგვიცდია, რომ პოლიცია-ჟანდარმერია სოციალისტებს იჭერდა, მაგრამ არ გვენახა, რომ სოციალისტი სოციალისტს აპატიმრებდა.

ჩვენ ვიცოდით, რომ თვითმპყრობელობა სტუქსავდა პოლიტიკურ თავისუფლებებს, მაგრამ არ გვენახა, რომ სოციალისტები დემოკრატიასა და პოლიტიკურ თავისუფლებებს უარყოფდენ.

ყოველივე ამან და მრავალმა სხვა გარემოებამ შექმნა უდიდესი ბურუსი, რომელსაც ბევრმა დღემდე თავი ვერ გაართვა. სწორედ ამ ბურუსით გაბრუებულნი შეხვდით ჩვენ 1921 წლის ამბებს.

ჩვენ შევებრძოლეთ ბოლშევიკებს; მენშევიკები, ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და ესერები ერთად ვიყავით, ვებრძოდით საბჭოების ხელისუფლებას გაერთიანებული ფრონტით, მაგრამ ამაოდ, ჩვენ დავმარცხდით, აღარ არის დემოკრატია.

„გაუფრინდა ნინოს შაშვი,
დარჩა ნინო მოწყენილი“.

რა ქნა ახლა ნინომ? ჩვენ გვეუბნებიან: ნინომ უნდა იაროს ძონძებში, ცრემლებ შეუშრობელი, დაიკაწროს ლოყები, გაიტიყოს და უცადოს „მეორედ მოსვლას“ დემოკრატიისას, რა თქმა უნდა.

მაგრამ ნინოს არ სურს დაჭკნეს და ფეხზე ჩამოხმეს, მას სიცოცხლე სწყურია. ის იზრდება, მართალია, ძლიერ თავისებურ პირობებში, მაგრამ მაინც იზრდება და ვითარდება ის ახლა კომსომოლისტებშიც გაერია. ურა პატრიოტიზმისა და ორტოდოქსალური ავანტიურიზმის თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია, ეს ღალატია, მაგრამ რას იზამთ? ბევრი ჩვენთაგანი შეჩერდა, მაგრამ ისტორია არ შეჩერდა. ცხოვრებას თავისი გააქვს...

არც შეიძლება სხვანაირად იყოს, ვინაიდან როგორც არ უნდა იყოს უთანხმოება კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის, მე ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ ჭეშმარიტი სოციალისტისათვის უფრო მისაღები და სასახელო იყოს მონარქიისა და ბურჟუაზიისათვის მხარის დაჭერა, ვიდრე ბოლშევიკებთან ლოიალობა და თანამშრომლობა.

თუ ჩვენი ემიგრაცია სხვანაირად ფიქრობს, ცხადია, მასზე სავსებით გამართლებულა პოეტის ის სიტყვები:

«Новым чуствам всем сердцем отдался,
Душой, как ребенок, я стал,
Я сжег все, чему поклонялся,
Поклонился всему, что сжигал.»

ლეო შენგელაია.

# მთლიანი ფრონტით იმპერიალიზმის წინააღმდეგ

იმპერიალისტებისა და მათი შინაყმების თავგასულობას საზღვარი არ უჩანს. ომის გაჩაღება საბჭოთა კავშირთან და მისი დამარცხება,—აი მათი ერთად-ერთი საზრუნავი საგანი. ამ საკითხს უტრიალებენ ყველანი, დაწყებული ჩემბერლენიდან, გათავებული ლენინგრადელ ხულიგნებით.

ომის მოციქულები ხან აქ მოაწყობენ პროვოკაციას, ხან იქ. პეკინი, ლონდონი, ვარშავა და სხვა—ის პუნქტებია, საიდანაც ისინი ცდილობენ საომარ ცეცხლის დანთებას და მის წაკიდებას საბჭოთა კავშირისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს არ აჰყვეს პროვოკაციას. არც აჰყვება, ვინაიდან ამას მოითხოვს მშრომელთა ინტერესები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იმპერიალისტები ძალით არ ჩაითრევენ მას სისხლისმღვრელ ომებში.

როგორი უნდა იყოს ყოველივე ამისადმი ჩვენი, ე. ი. იმათი დამოკიდებულება, ვინც არ ითვლება მმართველ პარტიის რიგებში?

ისტორია ჩვენს წინაშე გარკვეულ საკითხს აყენებს: ან ომის მოციქულებთან, ე. ი. იმპერიალისტებთან, ან მათ წინააღმდეგ—საბჭოთა ხელისუფლებასთან.

საშუალო გზა,—„არც ერთთან, არც მეორესთან“, არ არსებობს. არც შეიძლება სინამდვილეში არსებობდეს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ და თავიდან მოვიშოროთ ასეთი დიდი საკითხები, როგორიც არის სოციალიზმი, მსოფლიო მუშათა კლასი და სხვა, ცხადია, დასახელებული საშუალო ხაზი მართებულად შეფასებული იქნება, როგორც „ბოიკოტი“, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე კერძოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით.

მწვავე და კრიტიკულ მომენტში ყოველგვარი მრავალსიტყვაობა და დასაბუთება ზედმეტია.

ისტორიის მიერ გარკვეულად დასმულ საკითხზე ჩვენც გარკვევით უნდა ვუპასუხოთ:

საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მთლიანი ფრონტით იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ლ. ფირცხალავა.

# მომენტისთვის

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო რეაქციის სულის ჩამდგმელებმა უმდაბლესი ხარისხის პროვოკაციას მიჰყვეს ხელი. ინგლისელ კონსერვატორებმა, როდესაც დარწმუნდენ, რომ საბჭოთა კავშირის იზოლიაციის პოლიტიკა დამარცხდა და ვერც ერთი სხვა სახელმწიფო ვერ ჩაითრიეს საბჭოების საწინააღმდეგოთ გამზადებულ „დაწკეროლ რაზმში“, გამოუვალ ჩიხიდან თავის დასაძვრენად საზიზღარ პროვოკაციას მიმართეს—მუხანათური მკვლელობა ჩაიდინეს. ამ უბადრუკ საშუალებით ცდილობენ წყლის ამღვრევას და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომის გაჩაღებას.

ამხ. ვოიკოვის მოსაკლავად გასროლილი ტყვია—ეს პირველი სიგნალია ყველა ქვეყნის ხულიგანთა და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირიდან რევოლიუციონურ ცოცხით გამოხვეტილ რეაქციონურ ლეშის გამოსაცოცხლებლად და დასარაზმავად.

ვარშავაში გასროლილი ტყვია,—ეს მსოფლიო რევოლიუციის დასაჭრელად გასროლილი ტყვიაა, და ეს ასეც ესმის მსოფლიო პროლეტარიატს.

მაინც დიდი ახირებული და თან უცნაური ხალხია ინგლისელი ლორდები. ნუ თუ მათ მართლაც ასე ადვილად წარმოუდგენიათ რევოლიუციის მექაზე—მოსკოვზე გალაშქრება და საბჭოთა ხელისუფლების დაყირავება?

ნუ თუ ეს მოხუცი ბეცები ვერ ამჩნევენ, რომ მოსკოვის დამცველი რაზმები საბჭოთა კავშირის წითელი არმიით არ განისაზღვრება და, როცა საჭირო იქნება, თვით ლონდონში აღიმართება პროლეტართა მილიონი ხმლები შუბლმაგართა თავის მოსაკვეთათ?

მაგრამ, რას უზამ, მოხუცებულობა რის მოხუცებულობაა, თუ ადამიანს ჭკუასა და მხედველობას არ შეუსუსტებს. ასეთ ბედშია დღეს დრომოჭმულ კაპიტალიზმის იდეოლოგები.

ასე თუ ისე, ვარშავაში მოწყობილი ვერაგული მკვლელობა ერთხელ კიდევ გვეუბნება, რომ ფრთხილად და მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარ შესაძლებლობისათვის.

განსაკუთრებულ სიფრთხილეს ავალებს მომენტი ყომოკრატს.

ალარავისათვის არ უნდა წარმოადგენდეს საიდუმლოებას, რომ ავანტიურის გზაზე შემდგარი პარიზის ემიგრაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებაზე და ომებზე აშენებს თავის პოლიტიკას, შეეცდება საქართველოში აგვისტოს ტრაღედიის კვლავ გათამაშებას და ამით უსაშინელესი საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყანას. ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ უკვე არის ნიშნები ემიგრაციის ამოძრავებისა და საბუთაც გვაქვს აქეთკენ მივაპყროთ ჩვენი ხალხის ყურადღება.

რასაკვირველია, ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვდის ეჭვი იმაში, რომ დღეს მით უმეტეს განწირულია ყოველგვარი აზრი ქართველი ხალხის ავანტიურაში ჩათრევისათვის, ვინემ ოდესმე იყო. მაგრამ ჩვენი ვალია გავაფრთხილოთ განსაკუთრებით სოფლები — ღირსეულად დახვდენ ემიგრაციის ემისრებს, თუ კი ასეთები ეწვევიან.

საჭიროა აგრეთვე იმ ჭკუანაღრძობ ვაჟბატონების გაფრთხილება, რომლებიც ავანტიურაზე ხელს არ იღებენ და ქართველი ხალხის ნორმალურ ცხოვრებას ხელს უშლიან. მათ უნდა იცოდენ, რომ საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხკაცობის არსებობა და განვითარება რკინის რგოლითაა გადაჯაჭვული საბჭოთა ხელისუფლების არსებობასთან. მართალია, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა არ წარმოადგენს სრულსახურ სამოთხეს,—ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მშრომელი ხალხი იმაში მაინც ღრმათ არის დარწმუნებული, რომ მას იმაზე მეტს ვერავინ მისცემს, რაც მისცა და რასაც აძლევს საბჭოთა ხელისუფლება. საკუთარ მუშურ-გლეხურ წყობილებაზე უკეთესი მისთვის არ შეიძლება არსებობდეს. და თუ 1924 წლის სექტემბრის პირველ დღეებში საქვეყნოდ აღიარა პარიტეტულმა კომიტეტმა და მენშევიკურ პარტიის ცეკას მაშინდელმა თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა, რომ „ჩვენ დავრწმუნდით, რომ ქართველი ხალხი რუსეთთან მეგობრობას არჩევს რეაქციონურ ევროპასთან მეგობრობას, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველ მუშასა და გლეხს იმდენსაც ვერ მივსცემთ, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევს“-ო,—მით უმეტეს, დღეს აგვისტოს ტრაღედიის მესამე წლისთავზე ქართველი ხალხის იმაში რწმუნება, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა მას ბედნიერებას მოუტანსო,—წარმოუდგენელი ზომის უტიფრობაა და სხვა არაფერი.

ქართველ მშრომელ ხალხს მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა უნდა, მისი მიღწევები კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობის ფრონტზე 1924 წელთან შედარებით, გაათკეცებულია. ის დღესაც გიგანტიურ მუშაობას აწარმოებს ამ მიმართულებით და, ვინც მას ხელს შეუშლის ამ მუშაობაში, ის ქართველი ხალხის რისხვის გარდა, ვერაფერს დაიმსახურებს.

დეე, ყველამ იცოდეს, რომ ქართველი მშრომელი ხალხი ფხიზლად სდგას რევოლიუციის სადარაჯოზე და საკუთარი მკერდით დაიცავს საბჭოთა ხელისუფლებას.

ა. ჩაჩუა.

# გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი

## პეტრე გელეიშვილისადმი.

ძმაო პეტრე. მე კი, როდესაც იმ ბარათსა ვწერდი, სრულიადაც არ დამჭირვებია შენსავით მიმართვის ძებნა, წერა და ხევა არ დამჭირვებია რადგან არ შემძულებულხარ მხოლოდ იმიტომ, რომ აზრი და შეხედულება გამოიცვალე. სინდისი რომ გაგეყიდა, მაშინ რა თქმა უნდა, სხვა საქმე იქნებოდა. განა ვინც ყველაფერში ჩემ შეხედულებას არ იზიარებს, ვინც საესებით არ მეთანხმება, უთუოთ მოღალატე და გამცემელია, უეჭველად უნდა მძულდეს და მეზიზღებოდეს.. უნდა გამოგიტყდე და ჩემს თავს ამ მხრით თითქოს ერთგვარ ნაკლს ვამჩნევ. (ეს უეჭველად ნაკლად ჩაეთვლება აქტიურსა და მებრძოლ მოქალაქეს) —ეს არის თუ შეიძლება ასე ითქვას „ისტორიზმისაკენ“ გადახრა, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან: „უკლონი“. მაგალითად მე ასე მესმის: კათალიკები თავისი საშინელი ინკვიზიციით, პროტესტანტები თავის განკითხვებით, მართმადიდებელი და ნაირ-ნაირი სექტები, მიუხედავათ მათ შორის უსასტიკესი ბრძოლებისა. ძირითად მაინც ერთ საქრისტიანო ბანაკს წარმოადგენდენ. ამ საერთო ბანაკის წევრნი და შვილნი იყვენ და ისტორიულ მნიშვნელობასა და ესპექტშიაც ასეთივე დარჩებიან, მიუხედავათ იმისა, რომ მათი სათვითშორისო სისხლიანი ომები ისტორიულათვე აუცილებელნი იყვნენ. შიიტებისა და სუნიტების ურთიერთ მკაცრი ბრძოლები მაინც შინაური საქმე იყო და ისლამური ფრონტი მაინც საერთო ბანაკს წარმოადგენდა. ჯერ-ჯერობითაც ასეთსავე პანისლამისტურ მთლიანობას წარმოადგენს, და, რასაკვირველია, ისტორიულ პერსპექტივაშიაც ამგვარათვე დარჩება. ფრანგ იაკობინელთა სხვადასხვა სექციებმა და ლიდერებმა ერთი მეორეს თავები გააგდებინეს. მას აქეთ სულ რაღაც ას წელზე ცოტა მეტი გავიდა და დღეს მხოლოდ სპეციალისტ ისტორიკოსები, სოციოლოგები და პორტრეტისტები თუ აღმოაჩენენ ნიუანსებს რობესპიერთა, დანტონსა, მარატსა, ბაბეფსა და სხვათა შორის. ხოლო ისტორიისათვისა და დღეს მომქმედ მასებისათვის ისინი თითქმის ერთი და იგივენი არიან.

მე, რა თქმა უნდა დიდი ხანია და დიდათ გულმოსული და აღშფოთებული გახლავარ ბოლშევიკების შემცდარი აზრებითა და მოქმედებით, მაგრამ ისიც ვიცი, რომ პლეხანოვი, ლენინი, ჟორდანია, ტროცკი, მარტოვი, აქსელროდი, ჯუღაშვილი, ირ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ფ. მახარაძე და (ნუ შეშფოთდებით ნურც შენ და შენი ახალი ამხანაგები და მეგობრები და ნურც ჩემი მეგობრები და ამხანაგები, თუმცა დღევანდელ პირობებში ორივე ბანაკს ეს მკვეხელობათ მოეჩვენება)... სერგო ორჯონიკიძე და (ჩემთვის ძვირფასი) ვალიკო ჯუღელი, ლავრენტი ბერია და (ჩემთვის დაუვიწყარი) ნოე ხომერიკი, ყველა ესენი ისტორიულ პერსპექტივაში ერთი ბანაკის, ერთი ძირითადი ფერის ელფერებათ გამოჩნდებიან სოციალური იდეალების მხრით. ყველა ამათ ეთრი მეორე რომ მილიონჯერ გადასცენ მარქსისტულ ხატზე. შეაჩვენონ და შერისხონ ერთი მეორენი. როგორც მოღალატენი და გამცემნი, რომ ყველა მათ, და არა თითო ოროლას, ერთი მეორესათვის თავები დაექრათ საერთო ღვთაების სახელის სადიდებლად, ვიმეორებ, ისინი ერთ ოჯახის იქნებიან აღიარებულნი სოციალური იდეალების სფეროში, ხოლო რაც შეეხება ეროვნულ მხარეს, აქ მდგომარეობა, რა თქმა უნდა, უფრო რთულია და ამაზედ აქ ბაასი შორს წაგვიყვანდა... მაგრამ უნდა გითხრა, რომ მე დარწმუნებული ვარ შემდეგში: არამც თუ თითქმის ყველა ეგრეთ წოდებული „დალოლულნი“ და „გადახულნი“, არამედ თვით ქართველ კომუნისტურ პარტიის შეგნებულ წევრთა, თუ მეტი არა 95 პროც. დაახლოებით ასე მსჯელობენ:—მართალია, ძირითად რუსეთის მფლობელობაში ვართ მოქცეული, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება და აღმშენებლობა ვერ არის საკმარისად თავისუფალი, მაგრამ ჩვენს დღევანდელ პირობებში სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ესე იგი ეროვნულ საკითხში მაქსიმალისტური პროგრამა და ტაქტიკა საშინელი ზარალის მეტს არაფერს მისცემს ქართველ ხალხს, ამიტომ უმჯობესია ორგანიულათ ვისარგებლოთ იმ განსაზღვრულ შესაძლებლობით, რომელსაც ასე თუ ისე იძლევა დღევანდელი წყობილება და ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგია ეროვნულ თვით მოქმედებისა და თვითმმართველობის სფეროში... შეიძლება ასეთ პოსიბილიზმს არ დაეთანხმოს ადამიანი, მაგრამ მე, ჩემდათავად, სრულიადაც არ ვთვლი მას შეჩვენების და შერისხვების ღირსად. შესაძლებელია კრიტიკულად (ჩემის აზრით ეს საჭიროა) ასეთ გადაძლაშებულ-ეროვნულ-პოლიტიკურ ოპორტიუნიზმს, განსაკუთრებით, როდესაც ის აღმოსავლურ კარის-კაცურ კილოსა და ელფერს ატარებს) ანუ, შენი შედარება რომ ვიხმარო, სადაც ინით შეღებილ ბანჯგვლიან წვერის ფსევდონიმია „ყვავილნარი“, ხოლო მასში გაჩხირულ მსუქან ფლავის ნაფლეთის ზედმეტ სახელათ (ბულბულს) ხმარობენ); დიახ, შეიძლება ხსენებული ოპორტიუნიზმის გაკრიტიკება, მაგრამ რამდენათაც ის შინაგან გულწრფელი და მოუსყიდველია, კრიტიკასთან ერთად პატივის ღირსიც არის... სიტყვა გამიგრძელდა.. მე კარგად ვიცი, ჩემო პეტრე, რომ ზევით გამოთქმული ყველა ჩემი მოსაზრებანი და მსჯელობა ძლიერ არ უდგება საერთოთ ჩვეულებრივ ბრძოლის ტაქტიკას, სადაც სიძულვილი და ფანატიზმი ბრძოლის პათოსისა და ენტუზიაზმის მთავარი საფუძველია. მე ვიცი, რომ ამ ჩემი ნათქვამის გამო ბევრი რამ ლამაზისა და მაგარის თქმა შეკურთხება შეიძლება შესახებ „მალინოვჩინისა“, „მეშჩანობისა“, „შაქარ-ყინულოვან ტონისა და აზრისა და სხვა...მოდი მოვჭრათ სიტყვა: მთელი ეს გრძელი წინასიტყვაობა იმისათვის დამჭირდა რომ ამეხსნა, თუ რატომ არ გამჭირვებია შენდამი მომართვის ფორმის მონახვა. არსებითად კი არ, რისი თქმა მინდა.

შენი ორი ღია წერილი, ჩემდამი მომართულ, კარგა ხანია რაც წავიკითხე. შენი წინადადება გამოკამათების შესახებ, რატომაც არა, მისაღებია და, ჩემის აზრით, არც არავისათვის საზარალო არ არის. მაგრამ მგონი, რომ ეს მოუხერხებელი იქნება—კამათს ჩვენს შორის ცალმხრივი ხასიათი მიეცემა, რადგან ვფიქრობ, რომ ჩემი წერილების დაბეჭდვის ნებას არ მოგცემენ არ დაგასტამბვინებენ ისეთ წერილებსაც კი, რომელიც დროგამოშვებით გამიგზავნია ზოგიერთ პასუხისმგებელ კომუნისტისათვის. თუმცა ხსენებული წერილები მეტ წილად (ჩვენ შორის იყვეს ნათქვამი) უფრო მისი უდიდებულესობის—„საბჭოთა მთავრობის—ოპოზიციის“ ხასიათი ჰქონდა, ვიდრე „კონტრ-რევოლიუციონური ბუნტის“ კილო და მიზანი; ყველა ეს წერილები მიუხედავათ აქა-იქ მწვავე ტონისა, გამოწვეული იყო დადებითი სურვილით, რომ ძირითად შემცდარ სისტემაში, ნაწილობრივი შეცდომანი რამოდენიმე მაინც გამოსწორებულიყო... განა ვერ ხედავ, კაცო, რომ თვით შინაური კრიტიკაც კი, თუ ის ოდნავ პრინციპიალ ხასიათს ატარებს, სრულიად განიდევნა დღევანდელ საბჭოთა პრესიდან. შენც, რასაკვირველია, ამას ხედავ თუმცა საჯაროთ ვერ დამიმოწმებ. შეადარე ამ მხრით წრევანდელი გაზეთები შარშანდელს, შარშანდელი—შარშანწინდელს და ასე ბოლომდე: ესე იგი 1917 წლის ოქტომბრამდე. განა ნათელი არ არის, რომ დოგმატიზმის მძაფრმა ყინვამ მოიცო ბოლშევიკური პრესის სული, რომ მასში თანდათან ამინ და ალილუიას მუსიკა და საკმევლის სურნელება მეფდება. რასაკვირველია მე აქ დამნაშავეს არ ვეძებ, და თუ გნებავს ასეთი არც არსებობს: ეს სისტემის შინაგანი ლოღიკური განვითარებაა... ერთი სიტყვით რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო პეტრე, ჩვენი საჯარო კამათი ამ პირობებში არ მოხერხდება, ცალმხრივი გამოვა და შენთვისაც უხერხული იქნება.

მიუხედავათ ყველა ამისა მე მაინც მინდოდა პირადათ შენთვის ვრცლად მეპასუხებია და საერთოდ „ჩემი გულის პასუხები“ გამეზიარებია, ასე ვთქვათ, შინაურულად. მაგრამ ესეც სახიფათო რამ ყოფილა, როგორც ირკვევა ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ ერთი წლის წინათ ერთი წერილი მივწერე თედო ღლონტს (ეს ის წერილი უნდა იყვეს, რომელსაც როგორც შენი სტატიიდან სჩანს, შენც გაცნობიხარ). წინათ ამგვარი რამ არავის გულისწყრომას და რისხვას არ იწვევდა, ეხლა კი მთელი გამოძიება გამიმართეს ამ „დანაშაულის“ ირგვლივ და, აი, ამიტომ მეეჭვება—განა ღირს მოწერა. ტყვილა ხათაბალა ავტეხო და იქნებ შენც უსიამოვნება რამე შაგახვედრო. თვით ამ ბარათის მოწერაზედაც ვყოყმანობდი, მაგრამ უბრალო ზრდილობა მოითხოვდა რაიმე პასუხი მაინც მომეცა შენს წინადადებაზე), გარდა ამისა, აგერ გაზეთ „პრავდაში“ მ. კოლცოვის ერთი საინტერესო ფელეტონი წავიკითხე აკადემიკოს კარდის შესახებ. გამახსენდა შენი წერილის ის ადგილი, სადაც თითქმის აღფრთოვანებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ რუსული, ნახევრად შავრაზმული და სავსებით მოსკოვურ ნაციონალისტური სამეცნიერო აკადემია საკავშიროთ გამოაცხადეს და მას ქართული, სომხური, უკრაინული და ბელორუსული კულტურის აყვავება მიანდვეს... შენ გეცოდინება, რომ კარპინსკისა და კარსკების რუსული აკადემიის „გაკავშირება“ არც ერთ ეროვნულ კომპარტიას არ მოსწონდა) თუ არ ვიანგარიშებთ რუს კომუნისტებს, რომელთაც საკუთარი ეროვნული პარტიაც კი არ აქვთ. საბრალონი. რა დაჩაგრულნი არიან, როგორ „მსხვერპლად ეწირებიან“ მოკავშირე ერებს. უზბეკებს უნდა ჰყავდეს საკუთარი ეროვნული კომპარტია თავის ცეკათი და სხვა და რუსები კი „მოკლებულნი“ უნდა იყვენ ამ „უფლებას“, აფსუსი არაა). დიახ, არც ერთ ეროვნულ კომპარტიას არ მოსწონებია ეს სამეცნიერო-ნაციონალისტური იმპერიალიზმი, რადგან ეს სრული შეუსაბამობათ უნდა ჩაითვალოს ს.ს.რ. კ-ში, სადაც მოკავშირე რესპუბლიკებს თითქმის მხოლოდ განათლებისა და კულტურულ საქმეში ფორმალურათ აქვთ მინიჭებული დამოუკიდებლობა. იქნება შენ არ წაგიკითხავს და მიხდა ამ ფელეტონის ამონაჭერი გამოგიგზავნო, როგორც ჩვენში იტყვიან, შანის მოსაგებათ.

ამასთან ერთად გიფეშკაშებ სამიოდე გაზეთის ამონაჭერს, რომელიც ხელთ მომხვდა ორი ეხება უკრაინულსა და ბელორუსებს. კაცო ხანდახან, რომ მაინც ამისანა ამონაწერებსა და ქრონიკას ბეჭდავდენ თქვენ ჟურნალში, მერწმუნე, რომ მაშინ მაგ ჟურნალის დაუსრულებელ „ამინ და ალილულიასაც“, ცოტა მეტი ფასი და დაჯერება ექნებოდა... მართლა, ნუ თუ შენ არ იცი, რომ უკრაინას დიდი ხანია უკვე ჩინებულად გაჩარხული სამეცნიერო აკადემია აქვს, ხოლო ბელორუსია უკვე შეუდგა მის დაარსებას. მე მ-ინც ვერ გამიგია, პეტრე, რატომ ასე საშინლად გეუცხოება სიტყვა საქართველოს სამეცნიერო აკადემიის შესახებ.. ნუ თუ ჩვენს პირობებზე, ამოდენა სამეცნიერო ძალა არ მოიპოვება საქართველოში, რამდენიც რუსთა მეფეს პეტრე დიდს ჰყავდა რუსეთში მაშინ, როდესაც კაოსკისა და ოლდენბურგის „საკავშირო“ აკადემიას აარსებდა... მაგრამ კმარა თორემ მგონი ივეს კამათში შევტოპო...

რაც შეეხება მეოთხე ამონაჭერს, პრ. ოსადჩის წერილს „პრავდადან“ უნდა ენების სწავლების შესახებ. ძალიან კარგს იზამს, თუ მის თარგმანს მოათავსებს, რადგან ეს სრულიად საქმიანი წერილია. ხოლო თვით საკითხი კი მეტად აქტუალურია დღეს განათლებისა და აღმშენებლობის დარგში მთელ ს. ს. რ. კ-ში და თავისებურ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს ის დღეს საქართველოს ცხოვრებაში.

იყავით კარგათ.

ძმური სალამით

**გრიგოლ ლორთქიფანიძე.**

1927 წ. 18/5. რუსეთი, ქ. კურსკი ბოლშევიკების ქ. № 27.

P. S. ესეცაა წავიკითხე შენი მეორე წერილი „ახლო წარსულიდან“ ილიას მკვლელობის შესახებ. ძალიან კარგი და მოსაწონია შენი განზრახვა მაგ საქმის გამოკვლევისა. ამასთანავე უნდა გითხრა, რომ ცოტა არ იყვეს, მაგ წერილმა გამაოცა, აი რა მხრით: კაცო, ნუ თუ მეტი საბუთები არა გაქვთ ხელთ იმისა, რომ პირველი ვერსია სწორია. სად არის განსვენებული ვასო ცაბაძის მიერ შეგროვილი საბუთები და მასალები, მათ შორის ჯაშის დაკითხვები და ჩვენებები (რომელნიც ნათელს ფენენ ბევრ რასმეს—როგორი დაუღალავი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ჟანდარმერია ილიას მოღვაწეობას და კიდევ უფრო „აზრებს“, ნამესტნიკ-ვორონცოვ-დაშკოვის გულწრფელი წუხილი და მისი იჭვები ამ მკვლელობის შესახებ; რატომ არ იქნა ილიას ქვრივისა და თ.-აზნაურობის შუამდგომლობა ილიას ფიზიკური მკვლელების შეწყნარებისა პატივდებული და რატომ სასწრაფოდ დაახრჩვეს ისინი და სხვ. 21 წელში მეტეხში ჯდომის დროს განსვენებული სილიბისტროს მოხსენებით (ვასო ცაბაძის სიტყვებიდანაა და მასალებიდან) ჩვენთვის სრულიად ნათელი ხდებოდა პირველი ვერსიის სინამდვილე, რომლისთვისაც ბანკი და სოციალ-დემოკრატია თუ მეხსიერება არ მღალატობს იმავე მასალებიდან ირკვეოდა, რომ ფ. მახარაძის მოკვლით „სისხლის აღებას“ აპირებდენ, რომ ამრიგათ ორი კურდღელი დაეჭირათ. მეტად მოხდენილი ფარი და მეხამრიდი იყო. მაგალითად სად არის ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი) კეთილად არ მახსოვს დეპარტამენტზე მიწერილი თუ თვით დეპარტამენტის შედგენილი დახასიათება ილიასი, როგორც „ჭკვიანი, ფრთხილი და საშიში სეპარატისტისა, რომელიც არა უსაფუძვლოთ) საქართველოს უგვირგვინო მეფედ გრძნობს თავს“-ო და სხვა.

გარდა ამისა, საჭიროა იცოდე, რომ ვასოს იმთავითვე ამ საქმეში ეხმარებოდა ფედერალისტი იოსებ მაჭავარიანი (პატიოსანი და მიუდგომელი პიროვნება. ის გულწრფელად წინააღმდეგი იყო იმ განგაშებისა, რომელიც მაშინ ნაციონალისტურმა პარტიებმა ასტეხეს სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ). ის ჯერ კიდევ 1911 წ. ვასოსთან ერთად მუშაობდა ამ საქმეზე როსტოვში, გადასახლების დროს, და რევოლიუციის შემდეგაც განაგრძობდა ვასოსთან ერთად ამ საქმის კვლევას. მის მასალებსა და ჩვენებებს უეჭველად დაეჯერება. რაც არ უნდა იყვეს, დამერწმუნები, რომ მოხარული ვარ, რომ მიუხედავათ ხნოვანობისა, ძველებური მკვირცხლობა, მხნეობადი გამრჯელობის უნარი არ გღალატობს. ესეც იმის თავდებია, რომ მაგ საპასუხისმგებლო საქმეს, რომელიც გიკისრია, ნათელს მოჰფენ, და, შენი თქმის არ იყვეს სირცხვილს მოწმენდ ჩვენ თაობასა და საზოგადოებრივობასა მძიმე ვალის გადახდით.

კიდევ სალამი და გამარჯვება

გ. ლ.

# პასუხი გრიგოლ ლორთქიფანიძეს

იძულებული ვარ შენს წერილს რამდენიმე შენიშვნა მაინც წავუმძღვარო.

დავიწყოთ „ისტორიზმისაკენ განხრით“.

თუ ეს სენია, გამოგიტყდები: მაგ სენით მეცა ვარ შეპყრობილი. მართლაც რა არის მთელი ჩვენი ბრძოლა, ტანჯვა, წვალება? გაივლის დრო, ათი, ასი წელი და ყოველივე ის, რაც დღეს დაუსრულებელი ბრძოლისა და სისხლის ღვრის საგანს შეადგენს დაკარგავს თავის სიმწვავეს და ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცევა. ის ბედნიერი კაცობრიობა, რომელიც მზა-მზარეულად იღებს ამ ბრძოლის ნაყოფს, არც კი დაფიქრდება ჩვენი დღევანდელი ბრძოლის შესახებ. ის ისე,—ჩვენში რომ იტყვიან,—ხილს მიირთმევს და არა თუ ამ ხილზე დახარჯულ შრომაზე არ იფიქრებს, მებაღესაც არ იკითხავს.

მე სრულიად გეთანხმები, ძმაო გრიგოლ, რომ ყველა სოციალისტური პარტიების ლიდერები და უბრალო მომაკვდავები, ერთად იქნებიან ისტორიის ნირვანაში. დიდი ხანია, რაც უდიდესმა გენიოსმა გვითხრა:

„ბოლოს შეჰყარეს მიწამა
ყველა მოყმე და მცხოვანი“...

ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ პოლიტიკურ მებრძოლს, როგორც შენ თვითონ ამბობ, მაინც დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს „ისტორიზმით“ მეტის-მეტად გატაცება, როგორც ეს შენ მოგდის. მაგრამ შენი ასეთი მდგომარეობა, ჩემის აზრით, ადვილი ასახსნელია. ეს „ისტორიზმი“, როგორც საერთოდ შენი სულიერი განცდები ნაყოფია შენი პირადი მდგომარეობისა. შენ, სამწუხაროდ, ჩამოშორებული ხარ ყოველ იმას, რაც ხდება აქ, ჩვენ სამშობლოში. შენ არ იცნობ უშუალოდ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ვითარების არც დადებითს და არც უარყოფით მხარეებს. შენ აქ მაშინ იყავი, როცა საბჭოთა მთელ კავშირში სამხედრო კომუნიზი იყო გამეფებული. შენ ამ შთაბეჭდილების ქვეშ წადი აქედან და მაქაც მაგ შთაბეჭდილების „პრიზმაში“ ატარებ ჩვენი ცხოვრების იმ ფაქტებს. რომელსაც შენ მაქ გაზეთებისა თუ კერძო წერილების საშუალებით ტყობილობ... ამგვარ პირობებში „ისტორიზმი“ ერთად-ერთი გზაა, ერთად-ერთი ნუგეშია თვით უაღრესად მებრძოლი ტემპერამენტის პოლიტიკურ მოღვაწისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაშია ვართ ჩვენ, შენი ყოფილი ამხანაგები, აქ, თვით საქართველოში, სადაც უშუალოდ განვიცადეთ როგორც სამხედრო კომუნიზმი, ისე აგვისტოს ავანტიურის შედეგები და დღეს განვიცდით სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უდიდეს პროცესს. დღეს აქ ყველა ჩვენგანი ნერვებდაჭიმული ეწევა ქვეყნისთვის აუცილებლად საჭირო მუშაობას, ყველა ჩვენგანი, შეძლებისდაგვარად, ვიღებთ მონაწილეობას **მართლაც დამოუკიდებელი საქართველოს** შექმნის საქმეში.

და როცა ასეთ დროს ყოველდღე ახალ-ახალ სიურპრიზებს გვიმზადებენ ჩვენი ყოფილი ამხანაგები, რომლებიც ყოველდღე დანგრევითა და განადგურებით ემუქრებიან არა თუ იმ დიდ მიღწევებს, რაც დღეს ჩვენ უკვე გვაქვს სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში, არამედ ემუქრებიან თვით ხალხის, ქართველი ხალხის, არა მარტო ყოველდღეობას, თვით ფიზიკურ არსებობასაც კი,—რა ვქნათ, როგორ შევჩერდეთ იმ მშვენიერ წერტილზე, რომელსაც „ისტორიზმი“ ჰქვია? როგორ დავიკრიფოთ გულზე ხელი, როგორ გავჩერდეთ გარეშე მაყურებელის როლში და უცქიროთ, თუ როგორ ანგრევენ ჩვენს ნაწვავნადაგს, როგორ სპობენ თვით ამ ღირებულებათა შემქმნელ ხალხს?

არა, ძმაო, გრიგოლ! ასეთ დროს „ისტორიზმით“ გატაცება და ბრძოლის გარეშე დგომა დანაშაული იქნება.

დარწმუნებული ვარ: შენ არა გაქ საშუალება თვალი ადევნო ქართველი ემიგრაციის „მოღვაწეობას“ იმდენად მაინც, რამდენადაც ეს გამოიხატება მათ პრესაში. ჩვენ კი მის „მოღვაწეობას“ აქ უშუალოთ ვეცნობით, ჩვენ საშუალება გვაქვს ემიგრაციის ყველა გამოცემებს თვალყური ვადევნოთ. ჩვენ ჩვენის თვალით ვხედავთ მათი „მოღვაწეობის“ შედეგებს აქ... პოლიტიკაშიც ხომ ისეა, როგორც ბუნებაში:

«Как аукнется,
Так и откликнется».

ჩვენ ამ ბოლო კვირაში, სულ რამდენიმე დღის წინად, მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ერთს უსაშინელეს (სიმხდალით ნუ ჩამომართმევ ამ სიტყვას) დოკუმენტს, რომელიც დაწერილია ნოე რამიშვილის ხელით. ამ დოკუმენტს თან ახლავს ნოე ჟორდანიას კიდევ უარესი წერილი. შენ ჩვენი გაზეთის ამავე ნომრის მოწინავედან გაეცნობი ორივე ამ დოკუმენტების დაახლოებით შინაარსსა და მიზანს და დარწმუნებული ვარ შენც ჩემთან ერთად განიცდი მთელ იმ საშინელებას, რომელშიაც დასახელებული პირები აყენებენ ქართველ ხალხს.

ჩვენი მდგომარეობა ასეთია: ერთის მხრით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა. ხალხმა შეიგნო, რომ ის რაც დღეს კეთდება მას უეჭველად მიანიჭებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას. ხალხმა შეიგნო, რომ საბჭოთა რუსეთი არა ჰგავს თვითმპყრობელ რუსეთს, რომ დღევანდელი რუსეთი ეხმარება მის ეროვნულ კულტურას, ჰქმნის მისი დამოუკიდებლობის საფუძვლებს და სხვა... და ასეთ დროს ჟორდანია-რამიშვილის ემისრები მას ყურში ჩასჩურჩულებენ: უღალატე შენს საკუთარ ხელისუფლებას, ჩაეცი მახვილი საბჭოთა კავშირს, შეუერთდი მის მოსისხლე მტრებს და ევროპა გაგაბედნიერებსო.

რავ ქნათ, ძმაო გრიგოლ, ჩვენ, შენმა ყოფილმა ამხანაგებმა, რომლებიც, საუბედუროთ, ამ ცოდვილ ქვეყანაში ვცხოვრობთ და არა მთვარეზე ან სხვა რომელიმე პლანეტაზე? რა ვქნათ, როცა ჩვენი საკუთარის თვალებით ვხედავთ, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგები, ჩვენი ყოფილი პარტიის ყოფილი ლიდერები, უმაგალითო ავანტურას ახვევენ თავზე ქართველ ხალხს? რა თქმა უნდა, ასეთ დროს შენ არ გვირჩევ „ისტორიზმით“ გატაცებას. შენ რომ აქ იყო, დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ აიღებდი ხელში საყვირს და ქართველ ხალხს ამხელდი: მოერიდე ავანტიურასა და პროვოკაციას, განდევნე ქართველი ემიგრაციის ემისრები, განაგრძე შენი ნაყოფიერი შრომაო.

ამის მეტს ჩვენც არაფერს ვშვრებით. ჩვენც ისე ვამხელთ ხალხს არ დაუჯეროს თავის ბოროტ სულებს: ჟორდანიასა და რამიშვილს... დამიჯერე, გრიშა, რომ ჩემთვის, ძველი მესამე დასელისთვის, რომელსაც ჩემს საკუთარ თავზე უფრო მიყვარდა ნოე ჟორდანია, ძნელია დღეს მისი მონათვლა ხალხის ბოროტ სულად.

დეე დამცინე, ლაჩარი, ნერვებ მოშლილი, ნევრასტენიკი და რაც გინდა ის მიწოდე, გრიშა, მაგრამ გულახდილად გამოგიტყდები: თვალებზე ცრემლები ვერ შემიკავებია, როცა ნოე ჟორდანიას ქართველი ხალხის ბოროტ სულს ვეძახი... მაგრამ რა უნდა ვქნა, როცა დღევანდელი მისი მოქმედება ქართველი ხალხისთვის დამღუპველია, როცა მისმა პოლიტიკამ ქართველ ხალხს თავს დაატეხა აგვისტოს ავანტიურა, რომელმაც მრავალი საიმედო შვილები მოსტაცა ქვეყანას?

აბა ამის შემდეგ როგორ არ უნდა ამოვიფხრა გულის სიღრმიდან ამ ადამიანის სიყვარული და არ ვუთხრა ხალხს:

ხალხო და ჯამაათნო! აი შენი უბედურების მიზეზი! აი შენი შვილების საფლავების გამთხრელი! აი შენი გამბრიყვებელი! აი ის კაცი, რომელიც შენ პატივისა და დიდების შარავანდედივით მორთე. სწორედ ის კაცი გღალატობს შენ, პროვოკაციისა და ავანტიურის გზისაკენ გეპატიჟება. ზურგი უბრუნე მასო.

გამოგიტყდები: დღემდე მე განძრახ უვლიდი გვერდს ნოე ჟორდანიასთვის ასეთი ბრალდების წაყენებას. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ვერ მოვრეოდი გრძნობებს, ვერ ამომეგლიჯა გულის სიღრმიდან ნოე ჟორდანიას სიყვარული, რომელსაც ავგაროზსავით ვინახავდი ოცდაათი წლის ბრძოლის ემბლემათ... დღეს გაწყდა ეს უკანასკნელი სიმი. დღეს ჩვენ პირადი მტრები ვართ. აქ „ისტორიზმიც“ ვერ ითამაშებს მომრიგებლის როლს. და თუ ისტორიის ნირვანაში ჩვენ ერთად გვიწერია ყოფნა, იმას მაინც კი ვიქ, რომ მისი საქართველო ჩემი საქართველო არ იქნება...

აი, ჩემო გრიგოლ, ჩემი აღსარება. აი მიზეზი, თუ რატომ არ ვდგევარ დღეს „ისტორიზმის“ ნიადაგზე თუმცა მეც დიდი მიდრეკილება მაქვს მისდამი.

* *
*

ახლა მხოლოდ ორი სიტყვა ეროვნულ საკითხზეც.

შენ მართალი ხარ, როცა ეროვნულ საკითხში მაქსიმალისტური პროგრამის წინააღმდეგ გამოდიხარ. ჩვენც, შენი ყოფილი ამხანაგები, ასე ვუდგებით საკითხს. მხოლოდ შენსა და შენს შორის განსხვავებაც არის. მე ვერასოდეს ვერ დაგეთანხმები, რომ „ჩვენი ეროვნული სა-

ხე, სახელმწიფოებრივი განვითარება და აღმშენებლობა ვერ იყოს საკმარისად თავისუფალი“.

მე სრულიად გულწრფელად ვამტკიცებ, რომ საქართველოს არასოდეს არ ჰქონია თავისი „ეროვნული სახის“ შენარჩუნებისა და „სახელმწიფოებრივი განვითარების“ იმდენი საშუალება და შესაძლებლობა, როგორც დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს აქვს. შენ, ალბათ, გულისხმობ მოსკოვის გავლენას, მის როლს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ მოსკოვის გავლენა და როლი ჩვენში არასოდეს არ შეიძლება შევადაროთ იმპერიალისტური სახელმწიფოების როლსა და გავლენას. იმპერიალისტური ცენტრი არასოდეს არ გაიმეტებს პერიფერიებისათვის იმდენ სახელმწიფო აღმშენებლობის შესაძლებლობას, რამდენსაც საბჭოთა მოსკოვი ანიჭებს ხოლმე საქართველოს რესპუბლიკას. ამის შესახებ მე ერთობ ბევრი ვთქვი ჩემს წერილებში და აქ მისი განმეორებით თავს არ მოგაწყენ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რომელიც ჰქმნის მართლაც დამოუკიდებელ საქართველოს, მართლაც რომ ტიტანიურია ჩვენში...

დამეთანხმები, რომ ხალხისა და სახელმწიფოს აბსოლიუტური დამოუკიდებლობა ქვეყნად არ არსებობს. და საქართველოც იმდენად შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, რამდენადაც ამას გულისხმობს კავშირის წევრობა. რა ჯობია ისეთ ცხოვრებას, რომ არავისი დახმარება და ხელის გაწყობა არ გვჭირდებოდეს. თუ საჭირო არ არის ისე კავშირში არავინ შევა. და თუ კავშირი საჭიროა, თუ შენ ამხანაგობაში შედიხარ, ამ ამხანაგობის წესებსაც უნდა დაემორჩილო. ეს კი იმას მოასწავებს, რომ იმ საკითხებში, რომელშიაც ამხანაგობის ყველა წევრებია დაინტერესებული, შენ თავისუფალი ვერ იქნები, სხვა წევრებსა და მათ ინტერესებსაც უნდა გაუწიო ანგარიში.

უნდა დამეთანხმო, გრიგოლ, რომ რუსეთმა ჯერ არ იცის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც შეურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას. შენ თვითონ იცი თუ როგორ [illegible] საქართველოს დამოუკიდებულობას ჩვენივე ამხანაგები: რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის თვალსაჩინო წევრები და ესერების პარტია მთელი მისი შემადგენლობით. შენ იცი, თუ როგორ უყურებს ამავე საკითხს დღესაც აბრამოვიჩი და მთელი პლეიადა „სოც. ვესტნ.“-ის პუბლიცისტებისა. უნდა დამეთანხმო, რომ დემოკრატიულ საქართველოს კომუნისტებზე უფრო მკაცრად ებრძოდენ ყველა არა ქართველი ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, თავი ინტერნაციონალისტებათ გამოაცხადეს და ლეგალურად თუ არა ლეგალურად ჩვენი მტრობის მეტს არაფერს აკეთებდენ.

საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო მხოლოდ საბჭოთა რუსეთმა. მხოლოდ ის ემსახურება ფაქტიურად ამ რესპუბლიკის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ეს ფაქტია. ამას არასოდეს არ დაივიწყებს და არც უნდა დაივიწყოს ქართველმა ხალხმა.

* * *

მე ვერც იმ აზრს გავიაზიარებ, რომ დემოკრატიული სისტემა სჯობდეს საბჭოთა სისტემას. შენ, როგორც კლასობრივ იდეოლოგიაზე აღზრდილ მწერალს, არ შეგიძლია უსაყვედურო საბჭოთა სისტემას ის, რომ იგი ეყრდნობა თავის საკუთარ დიქტატურას. ყველა გამარჯვებული და გაბატონებული კლასი ეყრდნობა თავის საკუთარ დიქტატურას. ასე იქცევა და იქცეოდა ყოველთვის და ყოველგან ბურჟუაზია. მას ქონდა და აქვს თავისი საკუთარი სამართალი, პრესა, მორალი, ხელოვნება და სხვა და სხვა. თუ ეს ასეა, რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ბელადი კლასი ეყრდნობა თავის საკუთარ დიქტატურას. ცხოვრების ყველა სფეროში შეაქვთ თავისი საკუთარი იდეოლოგია, ცდილობს თავისი საკუთარი დაღი, თავისი საკუთარი ელფერი დაადოს ყველაფერს. თუ ეს არ ეძრახებოდა რუსეთის თვითმპყრობელობას და არ ეძრახება დღეს სხვა ქვეყნების ბურჟაზიას, ესე-იგი ხალხის დიდ უმცირესობას, რატომ უნდა ვუძრახოთ კომუნისტებს, საბჭოთა კავშირს, ესე-იგი ხალხის დიდ უმეტესობას?

ესეც არ იყოს: ჩვენ მარქსისტები ვართ. მაშასადამე არ უნდა დავივიწყოთ ამ დიდი მასწავლებლის მცნება:

„ყველა დროებითი სახელმწიფო, რევოლიუციის შემდეგ, მოითხოვს დიქტატურას და ენერგიულ დიქტატურასაცო“.

კიდევ რისი თქმა მინდოდა?

ჰო, კიდევ ის, რომ შენ აკადემიის შესახებ მწერ:

„ნუ თუ ჩვენს პირობებში იმდენი სამეცნიერო ძალა არ მოიპოება საქართველოში, რამდენიც რუსთა მეფე პეტრე დიდს ჰყავდა რუსეთში მაშინ, როდესაც კარსკისა და ოლდენბურგის „სამეცნიერო“ აკადემიას აარსებდაო?“

ამაზე აი რას გეტყვი: პეტრე დიდის აკადემია და ისიც სამეცნიერო ჩვენს დროში არ გამოდგება. სადღეისო სამეცნიერო აკადემიისათვის. ჩვენ მეცნიერული ძალები არ მოგვეპოება. მე უკვე მოგწერე და ვიმეორებ: ჩვენ იმდენად ღარიბები ვიყავით და ვართ მეცნიერულ ძალებით, რომ ერთი ქართული უნივერსიტეტის მოვლაც გვიჭირს. დამიჯერე: კომუნისტური ხელისუფლება არაფერ შუაშია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ხანია რაც მოიკალათეს უმეტეს ნაწილად ისეთმა „პროფესორებმა“, რომლებსაც მეცნიერებასთან იმდენი დამოკიდებულება აქვთ, რამდენიც მე და შენ იაპონიის მიკადოსთან. ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს ათი-თორმეტი ნამდვილი მეცნიერი. საბედნიეროდ ახალი ძალებიც გვეზრდებიან, რომლებიც უეჭველად წინ წასწევენ ჩვენი მეცნიერების საქმეს. მაგრამ ეს უკანასკნელები ჯერ-ჯერობით არ არიან ანგარიშში მისაღები. მაშ როგორ მოვუაროთ სამეცნიერო აკადემიასაც?

შენ, რა თქმა უნდა, იმისი მომხრე არ იქნები, რომ დეკრეტი გამოვცეთ, საქართველოს სამეცნიერო აკადემია დაარსებულად გამოვაცხადოთ, ეს გაზეთებში გამოვჭიმოთ, რომელიმე შენობას „ვივესკა“ მივაკრათ შესაფერის წარწერით და მით დავკმაყოფილდეთ...

პრინციპიალურად კი საქართველოს სამეცნიერო აკადემიის დაარსების წინააღმდეგ აბა რა შეიძლება ვისმეს ქონდეს?

ყარიბი.

P. S. რაც შეეხება შენს შიშს: პოლემიკის წინააღმდეგ არაფერი მაქვს. მაგრამ ჩემ წერილებს არ დამიბეჭდავთო, გიპასუხებ: გაძლევ სიტყვას, რომ ყველა შენი წერილები, რა თქმა უნდა ისეთები, რომლის შესახებაც შენ მწერ, უცვლელად იქნება დაბეჭდილი.

ყარიბი.

# კვირეული მიმოხილვა

## მონარქისტები და ემიგრაცია ამოძრავდენ.

ეს ხალხი ერთი და იმავე კატეგორიის არიან. მათ მიზანიც ერთი აქვთ და „სამოქმედო“ გეგმაც ერთმანეთთან შეთანხმებული. ორივე ისინი გარიყა რუსეთის საბჭოთა სინამდვილემ, ვერ გაუძლეს მუშათა კლასის ბატონობას, მის რისხვას. არჩიეს პოზიციების დათმობა და საზღვარგარეთ გადახვეწა. მეათე წელიწადია, რაც იმპერიალისტების სახელმწიფოებში დაძრწიან ეს ბედისაგან განწირული ხალხი, იკვებებიან „ნადავლით“ და მინისტრების ნასუფრალით, სამაგიეროთ ეფიცებიან მათ ერთგულებას, პირდებიან მათ თავგანწირულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როცა კი დადგება საამისო მოხერხებული მომენტი და ხელსაყრელი პირობები. აი,

დადგა დრო ამ „სანდო" ხალხის მიერ გაცემულ თამასუქების განაღდების, სიტყვის საქმედ ქცევის და მათაც გადაწყვიტეს: სიკვდილი ან დაკარგული ტახტის აღდგენა, ასეთია დღეს ლოზუნგი მონარქისტებისა და ემიგრანტების, რომელთა შორის სუფევს სრული სოლიდარობა, ნათესაობა და კავშირი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მის დასამხობათ, რუსეთის პროლეტარიატის ათი წლის ნაშრომ-ნაამაგარის გასანადგურებლად. რუსეთის ხალხის სისხლით მოხვეჭილ რევოლიუციის მონაპოვართა ფეხქვეშ გასათელავათ და თავისი ბატონობის აღსადგენათ. სწორეთ დღეს მოითხოვს მათგან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლას ანტისაბჭოთა ბლოკის მეთაური იმპერიალისტური ინგლისი, რომელსაც როგორც სჩანს, გადაუწყვეტია რუსეთის წინააღმდეგ დიდი ხნის დაწყებული ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს. ის არ კმაყოფილდება საბჭოთა რუსეთთან დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით. კვლავ აწყობს ახალ-ახალ პროვოკაციებს, რომლის მიზანია ჩაითრიოს ომში საბჭოთა რუსეთი, რომელიც დღეს ჩაბმულია დიდ საალმშენებლო მუშაობაში და მიუხედავად იმპერიალისტების მიერ ომის გამოსაწვევათ „მიღებულ ზომებისა", ის მაინც მიისწრაფის მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ თუ მისი სამშვიდობო ცდამ უქმად ჩაიარა. თუ მისი მშვიდობიანობის პოლიტიკა გაგებულ იქნება მტრის მიერ, როგორც მისი სისუსტე, მაშინ, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება იარაღი აიღოს ხელში და მით გაუსწორდეს თავდასხმელთ და ერთხელ კიდევ დაუმტკიცოს მთელ მსოფლიოს. თუ როგორ უნდა ბრძოლა ხალხის თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. მომხტომს დამხდურიც უნდა...

ინგლისი ომის მახეებს აგებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება, სადაც კი საამისო ნიადაგს შენიშნავს. საერთაშორისო მშვიდობიანობის დამრღვევი, ომის გამომწვევი პროვოკაცია არ იწყება და არ თავდება მარტო ლონდონში ან ჩინეთში. ის სხვაგანაც არის დახლართული. მაგრამ ყველაზე უფრო ამ პროვოკაციას გასავალი აქვს პილსუდსკის პოლშაში. სწორედ ასეთ პროვოკაციის ნაყოფად მიგვაჩნია ჩვენ საბჭოთა კავშირის პოლონეთის ელჩის ვოიკოვის მოკვლა. ოთხი ტყვიით გაუგმირა მას გული რუსის მონარქისტმა ბორის კავერდამ, მაგრამ ბორის კავერდა ამ მკვლელობაში არ არის მარტო დამნაშავე, მას პირადი ანგარიში, კერძო ინტერესი არ ჰქონდა თავის მსხვერპლთან. აქ დამნაშავეა ყველა მონარქისტები, რომლებსაც ძლიერი შტაბი აქვთ სახელდობრ პილსუდსკის პოლშაში, აქ უფრო მკვიდრი ნიადაგი ნახეს მათ ფეხის მოსამაგრებლად; ბორის კავერდა მარტო არ არის ამ საქმეში, ასეთი ბორისები ათასობით იფარავს თავს პილსუდსკის სამეფოში, ეს გამოხმაურებაა ლონდონიდან მიღებულ პროვოკაციულ საომარი სიგნალის, მკვლელობის ამ აქტში მონაწილეა იმპერიალისტური ინგლისი, პასუხისმგებელია აგრეთვე პოლშის მთავრობა, რომლის ტერიტორიაზე მოხდა ეს ტერორისტული აქტი.

საცოდავი მონარქისტები! დიდი ხანია, რაც რუსეთის მუშათა კლასმა მათ „სულთათანა" უმღერა, 10 წელიწადია, რაც მათ სამარეზე ასვია მძიმე შავი ჯვარი და გვეეჭვება, რომ საფლავიდან ამოძახილმა მონარქისტების ხმამ ეს ჯვარი ოდნავაც არის შეანძრიოს.

არა ნაკლები ამოძრავება და „საქმიანობა" ეტყობა ემიგრაციას. ეს ცოცხალ-მკვდარი ხალხი მაშინ ბედავენ ხმის ამოღებას, როცა საბჭოთა რუსეთი გართულებულ საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ინგლის-საბჭოთა შორის მდგომარეობის გამწვავებამ ისინიც გუნებაზე მოიყვანა. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია თავისი მეორე ინტერნაციონალური შტაბით, რომლის დროშის ქვეშ დღეს თავს იფარავს ემიგრაცია, ზეიმობს, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. მაგრამ ნაადრევია ეს სიხარული, უდღეურია ეს ზეიმი, რადგანაც საბჭოთა კავშირი შესძლებს ამ დგომარეობიდან გამარჯვებულათ გამოსვლას, ამის თავდებია მისი ათი წლის არსებობის ისტორია. ის სოლიდარობა და რკინის დისციპლინა, რომელიც სუფევს დარაზმულ რუსეთის მუშათა კლასის რიგებში.

რა თქმა უნდა ამ „ზეიმში" მონაწილე იქნება საქართველოს ემიგრაციაც, იმისი მეტიჩარული პსიქოლოგია ყოველთვის პირველობას მოითხოვს ემიგრაციის „მოძრაობაში". ალბათ მათ კვლავ დაიწყეს ოცნება ინტერვენცია—ავანტიურაზე, არის ზოგი საამისო ნიშნები მაგრამ ერთხელ კიდევ ვაფრთხილებთ ამ თავზე ხელაღებულ ხალხს, გონს მოვიდენ, ხელი აიღონ ქართველი ხალხის ღალატზე, იკმარონ ამოდენა მისი სისხლით ვაჭრობა. ჯერ საქართველოს კიდევ არ გამოუგლოვია თავისი საუკეთესო შვილნი, რომლებიც გახდენ მსხვერპლი ქართულ ემიგრაციის ავანტიურისა...

გარდა ამისა დავარწმუნებთ ჩვენს ემიგრაციას, რომ დღევანდელი საქართველო აღარ არის ისეთი, როგორიც იყო ის 1924 წელს, როცა გადახიზნულმა ქართველ ემიგრანტ-ავანტიურისტებმა შესძლეს ავანტიურაში ჩაეთრიათ რამოდენიმე გზა-კვალ დაბნეული, საბჭოთა მთავრობის მიერ „ზარალმიყენებული" საქართველოს მოქალაქენი. არა, დღეს სულ სხვანაირი მდგომარეობაა: დღეს საქართველოს ხალხმა, მთელმა ქართველმა ერმა, მიუხედავათ მისი ფენების სხვადასხვაობისა, შეიგნო ის დამღუპველი ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ემიგრაცია ევროპაში, მან კარგად იგემა ავანტიურის ტრაგიკული შედეგები. 1924 წლის აგვისტოს მწარე გაკვეთილებმა გააერთიანა ქართველი ერი საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ. მან მტკიცედ და ურყევად გადაწყვიტა იცხოვროს ამ დროშის ქვეშ, ან მოკვდეს გმირულად ამ დროშის დასაცავათ ბრძოლის დროს. დღეს, საქართველოში საღი ჭკუა-გონების პატრონი „ურწმუნო თომები" აღარ მოიპოვებიან, პროვოკაციისა და ავანტიურის ანკესებზე დღეს არც ის თითოოროლა, ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თავჩაქინდრული ხალხი წამოეგება, რომლებიც კიდევ იყვენ „ვილაცას" და „რაღაცას" მოლოდინში. დღეს ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი, ისე დადგება სადარაჯოზე თოფით ხელში არა თუ მარტო ავანტიურის წინააღმდეგ, არამედ ის თავგანწირულათ შეებრძოლება ყოველივე ძალას. რომელიც მიზნათ დაისახავს საბჭოთა ხელისუფლების დედამიწის პირიდან აღგვას. ასეთია მისი გადაწყვეტილება, ამას მოითხოვს მისგან მისი სასიცოცხლე ინტერესები, მისი მომავალი ბედი, რომელიც მან დაუკავშირა საბჭოთა რუსეთს. ეს უნდა საბოლოოთ შეიგნოს ჩვენმა დაღუპულმა ემიგრაციამ. ერთხელ და სამუდამოთ მათ უნდა დაგმონ თავისი მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საქართველოს დასაღუპავად. დროა გონს მოვიდნენ ეს ვაჟბატონები, ხელი აიღონ ქართველი ერის „მოსარჩინ" რეცეპტების წერაზე, კმარა!..

## მდგომარეობა ჩინეთში

როგორია მდგომარეობა ამ ბოლო დროს ჩინეთში? უპირველესათ აღსანიშნავია ჩან-ძო-ლინის ჯარების თითქმის სრული განადგურება ჩენ-ჯოუსა და კაი-ფინის რაიონში. სარწმუნო ცნობების მიხედვით ფინ-იუი-სიანის ჯარს ტყვეთ ჩაუგდია ხელში 5 ბრიგადა მოუკდენელების. დარჩენილი მათი ჯარის ნაწილები პანიკურათ იხევენ უკან. ამ დამარცხებამ თავბრუ დაასხა ჩან-ძო-ლინს, შეიტანა მის ჯარში სრული აღევ-დარევა, მუკდენელებმა სრულიად დაკარგეს ახლო მომავალში რაიმე გამარჯვების იმედი. ლიდერი მუკდენელები ურჩევენ ჩრდილოეთის ჯარებს პეკინის დაცლას, მაგრამ ჩან-ძო-ლინი ჯიუტობს. უკანასკნელი დამარცხების გამო მარტო პეკინში არ ეცლება ნიადაგი ჩან-ძო-ლინს, ის საერთოდ გაკოტრდა მანჯურიაშიც, სადაც დიდი უკმაყოფილება სუფევს ფართო მასებში მის წინააღმდეგ. თუ ასე იმლება და მარცხდება ჩან-ძო-ლინის არმია, სამაგიეროთ მის ნანგრევებზე ძლიერდება რევოლიუციონური ლაშქარი; შანსის პროვინციაში, მის დღევანდელ მფლობელს იენ-სი-შინს აქ თავი მოუყრია 120 ათასი ჯარისკაცისთვის. რომელთაც ნაბრძანები აქვთ შეუტიონ კალგანისაკენ, რომელიც ახლო მდებარეობს პეკინიდან. იენ-სი-შანის

არმია გამოცხადებულია რევოლიუციონურ-ნაციონალურ არმიათ, ჯარის ეს ნაწილიც მიზნათ ისახავს პეკინისაკენ შეტევას. საერთოდ რევოლიუციონურ ჯარებს თანდათან ეხსნება გზები პეკინისაკენ, რომლის აღებით დიდათ დაგვირგვინდება ნაციონალური ჯარების გამარჯვება, რომლის მოლოდინში მეტად დიდი პანიკური მდგომარეობაა შექმნილი პეკინში: ყოველდღე რაოდენიმე ათასი კაცი სტოვებს პეკინს, მუკდენის ჯარებთან ერთად ქალაქს სტოვებს მშვიდობიანი მცხოვრებლებიც. უკანასკნელი მდგომარეობა გამოწვეულია ხენანის პროვინციის დედაქალაქ კაიფინის ნაციონალურ ჯარების მიერ აღების გამო.

რაც შეეხება ჩან-ძო-ლინისა და „ნაციონალურ გმირის“ ჩან-კაი-შის ერთმანეთთან დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა მათ შორის ამჟამად გამწვავებულია. თუ დაუჯერებთ ზოგიერთ ცნობებს, ჩან-ძო-ლინი 500 ათას დოლარს იძლევა ვინც მას ჩან-კაი-შის თავს მიართმევს. რა თქმა უნდა, ორი ხატის თაყვანის მცემელს ჩან-კაი-შს ასეთი ბედი უნდა წეოდა, რევოლიუციონურ ჯარების ახალ-ახალი გამარჯვებები, რომლის უტყუარი ნიშნები უკვე სჩანს უკანასკნელათ მიღებული ცნობების მიხედვით, ორივე ამ ჯალათს ბოლოს მოუღებს და ცხადია შემდეგ ისინი შერიგდებიან, ვინაიდან მათ შორის სადაო აღარაფერი დარჩება.

### ვის მხარეზეა მშრომელთა სიმპატია?

შექმნილ მდგომარეობის გამო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა კლასის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. ინგლისის იმპერიალისტების თითეული ახალ-ახალი პროვოკაცია, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ მიერ მოწყობილი ტერორი, აძლიერებს მუშათა კლასში რისხვას თავდასმსხმელთა წინააღმდეგ. მუშები ფიცს სდებენ სიკვდილამდე იბრძოლონ საბჭოთა კავშირის დასაცავად, რომელიც ერთად-ერთია დღეს ამ მსოფლიო ორომტრიალის დროს, რომელიც იცავს მუშათა მასის ინტერესებს. ასეთი ფიცი დასდო ბერლინში გერმანიის მუშათა კლასმა წითელ ფრონტელების აღლუმზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა. ფიცში, სხვათა შორის ნათქვამია: „არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომ მუშათა კლასის ბედი მთელ მსოფლიოში განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან. ყოველთვის შევასრულებთ რევოლიუციონურ მოვალეობას მუშათა კალსისა და სოციალიზმის მიმართ; ყოველთვის ვიბრძოლებთ საბჭოთა კავშირისა და ძლევამოსილი მსოფლიო რევოლიუციისათვის, მუდამ ვიქნებით რევოლიუციის ჯარისკაცები“...

ასეთი სულიერი განწყობილებაა აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოების მუშათა მასებშიაც, ინგლისის პროვოკაციებით აღშფოთებულია აგრეთვე ევროპის ზომიერი წრეებიც, და თუ როგორია თვით საბჭოთა კავშირში საომარ პროვოკაციის გამო ძალთა განწყობილება, ეს ნათლად გამოირკვა ივნისის 8-ს ტფილისში გამართულ დიდ, გრანდიოზულ დემონსტრაციაზე, სადაც მონაწილეობდა არა მარტო ტფილისის პროლეტარიატი, არამედ ქალაქის ყველა კეთილშობილი მოქალაქენი, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული, თუ რას უმზადებს ახალი ომი საბჭოთა კავშირს საერთოთ და კერძოთ საქართველოს. ძლიერი და მტრისათვის თავზარ დამცემი იყო ამ ზღვა ხალხის კიჟინა, ურყევი მტკიცე და გულწრფელი იყო ტფილისის მუშათა კლასის ეს გადაწყვეტილება: **„ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ ომისთვის მზათა ვართ“!** თვითეული დემონსტრანტის სახეზე ნათლად იყო აღბეჭდილი ეს სიტყვები.

საჭიროა კიდევ მეტი პროტესტი, მეტი კიჟინა პროვოკატორ-იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომ მათ სამუდამოთ ხელი აილონ მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ პოლიტიკაზე.

გრ. მაჭავარიანი.

# მეურნეობის საკითხები

II.

პირველ წერილში აღნიშნულმა იურიდიულმა ფაქტებმა და სოციალურმა ცვლილებებმა, როგორც ვთქვით, მეურნეობაში არსებითი ცვლილება შეიტანეს. და დღევანდელი ჩვენი მეურნეობა იმდენათვე განსხვავდება ძველისაგან, რამდენათაც განსხვავებულია თვით სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილება.

პროლეტარიატის და ბურჟუაზიის სახელმწიფოთა მიზნები სულ სხვადასხვაა. ბურჟუაზია იყენებს სახელმწიფო აპარატს თვაისი კლასობრივი ბატონობის დასაცავად და ისეთს პირობებს ჰქმნის, რომელიც საშუალებას მისცემს კერძო მესაკუთრეებს მეტი მოგება ჩაიგდონ ხელში. პროლეტარიატს კი თავისი არსებით არ შეუძლია ასეთი მიზნების დასახვა. პირიქით, იგი იბრძვის კლასობრივ საზოგადოების გარდაქმნისათვის, კლასების გაუქმებისათვის და სახელმწიფო აპარატს იყენებს და იშველიებს თავისუფალი საზოგადოების შესაქმნელად.

მან ჩამოართვა ქონება მყვლეფელ კლასებს, ექსპლოატატორებს, და ეს ჩამორთმეული ქონება გადასცა მთელ საზოგადოებას, ანუ სახელმწიფოს და არა რომელიმე კლასს. ერთი წყება მესაკუთრეები მეორე წყებით კი არ შეუცვლილან, აქ ძველი მქონებელი კლასის ადგილი მთელმა საზოგადოებამ დაიკავა.

ეს არის ახალი საზოგადოების დამახასიათებელი თვისება და იგი ასვამს ბეჭედს ახალ მეურნეობასაც.

მესაკუთრის და ქონების განმკარგულებელის შეცვლასთან ერთად იცვლება ძველი მეურნეობის ხასიათიც. იცვლება მეურნეობის მიზანი და მისი სტიქიური მიმდინარეობის ადგილს იჭერს გეგმიანი წარმოება.

მშრომელთა სახელმწიფოს მიზანს მეურნეობაში შეადგენს არა მოგება, როგორც ეს იყო კერძო საკუთრების პრინციპების ბატონობის დროს, არამედ საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კერძო მრეწველის ანუ ვაჭარის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იყო და არის ბაზარი და მოგება: თუ საქონელი ბაზარზე საღდებოდა და მასაც კარგი მოგება რჩებოდა, მისი მიზანიც მიღწეული იყო. ეს იყო მოღვაწეობის ულტიმა რატიო—უმაღლესი სიბრძნე და უმაღლესი მიღწევა. მშრომელთა სახელმწიფო კი ამით ვერ დაკმაყოფილდება. მისთვის ბაზარი კი არ არის გზის მაჩვენებელი, პირიქით, მისი ცდა ის არის, რომ თვით ეს ბაზარიც თავის გავლენის ქვეშ დააყენოს და შეუთანხმოს თავის გეგმიან მეურნეობას. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მოთხოვნილებას და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. თვით გეგმიანი მეურნეობა იმ შემეცნებით, რომელსაც ჩვენ ამ სიტყვას ვაძლევთ, ნიშნავს წარმოების ისე მომართვას, რომ საზოგადოების მოთხოვნილებანი იქნეს დაკმაყოფილებული. ამისათვის კი საჭიროა **წინასწარ გათვალისწინება** მოთხოვნილებათა და მათი დასაკმაყოფილებელი ნაწარმოებთა დროზე და საჭირო რაოდენობით დამუშავება.

მართალია, კერძოთ ყოველ მწარმოებელს წინეთაც ჰქონდა თავისი წარმოების გეგმა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ კერძო მეურნეობის გეგმა და არა სახელმწიფოსი და საზოგადოებისა. საზოგადო მეურნეობის რეგულიატორი, ანუ გამწესრიგებელი იყო მხოლოდ ბაზარი. მხოლოდ იქ გამოირკვევოდა, რამდენად სწორი იყო ეს კერძო გეგმები, და ხშირად ეს გამორკვევა მეტად ძვირად უჯდებოდა საზოგადოებას—ხდებოდა მრეწველობის და საზოგადო მეურნეობის კრიზისები, ზოგჯერ ნაწილობრივი და ზოგჯერ ზოგადი ხასიათის. ეს კი ნიშნავდა საზოგადოებრივი ქონების და შრომის გაფლანგვას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრული გეგმიანობა

არც ჩვენს დღევანდელ მეურნეობაშია გატარებული, მაგრამ ეს სრულიადაც არ უარყოფს ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულების სიმართლეს და სისწორეს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ასეთი დიდი საქმის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია.

ხოლო თვით გეგმიანობის გატარებაში საბჭოთა კავშირს უდიდესი მიღწევები აქვს. **მრეწველობის მთელი პროდუქციიდან** გეგმიანი (სახელმწიფო და კოოპერატიული) მეურნეობის ხვედრი შეადგენს ათ მილიარდ ნახევარ მანეთს, ხოლო კერძო მეურნეობისა კი (კონცესიების მითვლით) მსხვილ მრეწველობაში შეადგენს მხოლოდ 439 მილიონ მანეთს და წვრილი მრეწველობისა—სახელოსნოებისა და შინამრეწველობისა ერთად აღებული 2 მილიარდს და 133 მილიონ მანეთს (იხ. „პლანოვოე ხოზიასტვო“, № 1, 1927 წ.). აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ თვით ეს კერძო მრეწველობა და მასთან შინამრეწველობა და ხელოსნობაც საგრძნობლად არის დამორჩილებული საერთო გეგმიანობით, რადგან მათ ნედლეული მასალა და საწარმოო იარაღები უმეტეს შემთხვევაში ეძლევათ საერთო გეგმის მიხედვით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გეგმიანობა გაბატონებულია მრეწველობის ცხრა მეათედში (85—90%).

სხვა მდგომარეობაშია, რასაკვირველია, **სასოფლო მეურნეობა.** მაგრამ გეგმიანობას აქაც საპატიო ადგილი უჭირავს. ამ მეურნეობის მთელი პროდუქცია შეადგენს 17 მილიარდ მანეთს და აქედან 9 მილიარდზე მეტი უშუალოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობის ნაწარმოებია, დანარჩენზე კი გავლენა ხდება ფასების პოლიტიკით, სოფლის ნაწარმოებთა დამზადებით, ინვენტარის, თესლეულის და სხვა მასალების მიწოდებით, აგრარული დახმარებით და სხვა. ძლიერ გავლენას ახდენს აგრეთვე სასოფლო მეურნეობაზე კრედიტი, რომლისთვისაც მიმდინარე საოპერაციო წელს გადადებულია 670 მილიონი მანეთი.

ასეთი მდგომარეობაა გეგმიანობის მხრივ წარმოებაში. რაც შეეხება ნაწარმოებთა განაწილებას აქაც თვალსაჩინოა ეს გეგმიანობა, რაც ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვით წარმოების გეგმის შედგენის დროს უკვე გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ნაწარმოებთა გასაღების, ე. ი. განაწილების საკითხიც. აქ გეგმიანობის აშკარა მაჩვენებელათ უნდა ჩაითვალოს საქონლის რეალიზაციის (გასაღების) გამტარებელი ორგანოების შედარება. და აქ ასეთი სურათი გვაქვს: საბითუმო ვაჭრობის ცხრა მეათედი (1925—26 წელს) გატარებულია სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების მიერ, ხოლო საცალო ვაჭრობიდან იმავე ორგანოების მიერ გატარებულია საქონლის 60 პროცენტი, კერძოს მიერ კი—40 პროცენტი. ამრიგად მთელი ვაჭრობის სამ მეოთხედს აწარმოებს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოები.

დავკმაყოფილდეთ ამხანათ ამ მაჩვენებლებით. დაკვირვებული მკითხველისათვის აშკარაა, რომ დღევანდელი მეურნეობა ძალიან შორსაა რევოლიუციის წინა დროის მეურნეობისაგან.

ეს არის შედეგი იმ კარდინალურ ცვლილებათა, რომელთა შესახებ ზევით ვილაპარაკეთ.

და ყოველივე ეს გვეუბნება იმას, რომ მომხდარმა ცვლილებებმა ისეთი ხაზი გაავლო ძველსა და ახალს შორის, რომ ძველის შემოტრიალება შეუძლებელია.

ამ საერთო ცვლილებების გავლენა განიცადა ჩვენი ქვეყნის მეურნეობამაც. მისი მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ—შემდეგ.

**ნ. ელიავა.**

# ომი და ხალხის კეთილდღეობა

სანამ დღევანდელი საზოგადოებრივი კულტურა აგებული კერძო საკუთრების ინსტიტუტზე იარსებებს ომიც მისი თანამგზავრი იქნება. კერძო საკუთრების მცნება თავისთავად გულისხმობს ცარცვა-გლეჯას, წართმევას, უმრავლესობის გაყვლეფას უმცირესობისაგან, „უკულტურო“ ერების დამონავებას, თავისი საქონლისათვის ძალით, იარაღით ბაზრის დაპყრობას. საუკეთესო საშუალებათა ასეთი ძალადობისათვის, რასაკვირველია, ომია.

ომის დროს სახელმწიფოს ეძლევა საშუალება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლამაზ იდეათა ამოფარებით მოიხმაროს მთელი ერის, ხალხის ყველა შემადგენელი ნაწილის ღონე და ნიჭი. ძალადობა და ომი ორი სახეა ორპიროვან იანუსისა, რომელიც ახლავს კაცობრიობას დღიდან კერძო საკუთრების გაჩენისა. მაგრამ ისეთი საშინელი, უხეში, უმგზავსო სახე მას არასოდეს არ მიუღია, როგორც უკანასკნელ საუკუნოებში. საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი დოვლათი იფანტება, იმსხვრევა ერთი ორი დღის განმავლობაში. მე-20 საუკუნის განმავლობაში ტეხნიკამ ომის სისხლიან მესვეურებს ხელთ მისცა საშინელი იარაღები: შორს მსროლელი ზარბაზანი, ჰაეროპლანი, შხამიანი გაზი. არასოდეს არც ერთი ომის დროს არ დაღუპულა იმოდენა ხალხი, როგორც წარსული მსოფლიო ომის განმავლობაში. არასოდეს არ დანგრეულა ამოდენა ქალაქები და სოფლები და არასოდეს არ დახარჯულა იმდენი ფული, როგორც ამ ომის დროს. და აი, ეს უბედურება თითქოს ჯერაც არ მოგვინელებია, ეს ჭრილობები ჯერ არ მოგვიშუშებია და ომის სისხლიანი აჩრდილი ისევ თვალწინ გვიდგას. ასე ინება ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ და უკვე მთელი მსოფლიო გულის ფანცქალით, ნერვებ დაჭიმული ელის თუ აი რომელ წუთში სად გავარდება თოფი.

ჩვენ გადაჭრით არ ვიზიარებთ ზოგიერთების აზრს ვითომ და ქართულ ინტელიგენციის ნაწილსაც კი სურს ომი, ის მის მოლოდინშია, ინტელიგენცია მთლიანად საქართველოში ჩაბმულია სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ აღმშენებლობითი მუშაობაში და თუ ამ უკანასკნელი ორი სამი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ზღაპრული სიჩქარით იზრდება მრეწველობა, ფართოვდება სახალხო განათლება, მრავლდება და უკეთესდება სამკურნალო დაწესებულებები, ამაში საკმაო დიდი ღვაწლი მიუძღვის ინტელიგენციას. საკმარისი არ არის, რომ ხელისუფლებამ აიღო სწორი გეზი ეკონომიურ-კულტურულ სფეროში სამუშაოდ, საჭიროა ამ გეზის გეგმებათ გადაქცევა და რაც უმთავრესია ცხოვრებაში გატარება. და ეს მოხდა და ეს ხდება ყოველ დღე მისთვის რომ დღევანდელი სახელმწიფოს მუშას და გლეხს შეგნებული აქვს, რომ მას ჰყავს კულტურული ძალა სხვადასხვა სპეციალობისა, რომელიც პირნათლად მოიხდის ვალს მის წინაშე.

ეს ურთიერთი ნდობა დღეს არსებობს და ეს არის საწინდარი ჩვენი წინსვლისა, ისე რომ არც ინტელიგენციას, არც მუშას და არც გლეხს დღეს ქადაგება არ სჭირია, რომ ომი საშინელებაა, რომ ომი გაანადგურებს ჩვენს ქვეყანას. (თითო ოროლა პირი თუ არის ასეთი გიჟი მათზე ლაპარაკიც არ ღირს). თუ მაინც საჭიროა ომის საფრთხეზე ლაპარაკი მხოლოდ იმისათვის, რომ ყოველმა მოქალაქემ მოიგონოს წარსული ომის საშინელება და მეტის ენერგიით მეტი ძალთა დაკუმშვით და შეკავშირებით შეებრძოლოს მომავალ უბედურებას, თუ ჩვენდა საუბედუროთ ის თავს დაგვატყდება.

ამ პატარა წერილში მე მინდა მკითხველს მოვაგონო მხოლოდ რამოდენიმე ფაქტი ომის დროის და მისი უშუალო შედეგებისა. ყველას ახსოვს, რომ ცარიზმის ჩინიანი თუ უჩინო მოხელეების მიერ წაქეზებულნი (უქებდენ ქართველობას რაინდობას, ვაჟკაცობას), უამრავი ქართველი წავიდა ომში და ორასი ათასი სული შევწირეთ დიდი ომის საშინელ მოლოხს. (ამ ორასი ათასიდან ზოგი მოკვდა, ზოგი დაიჭრა—დასახიჩრდა, ზოგი უგზო-უკვლოდ გადაიკარგა), სახელმწიფოს მის სიძლიერეს მის

ეკონომიკას ეს საშინელი დანაკლისი დღესაც ვერ აუნაზღაურებია. ომთან დაკავშირებული შიმშილი ხომ ყველას ახსოვს—ლტოლვილების უბედურებანი ხომ თვალწინ გვიდგია. მე-19 საუკუნის განმავლობაში, ქალაქებში ყვავილის აცრა, წყალსადენის და კანალიზაციის შემოღებით მოსახლეობამ დაიწყო უჩვეულო ზრდა. ევროპაში 1913 წლის განმავლობაში დაიბადა 14.000.000 სული გარდაიცვალა 9.000.000 სული. მატება 5.000.000 სული. ცხოვრების საერთო პირობები იმდენად გაუმჯობესდა, რომ თუ 16—17 საუკუნეებში ევროპაში 1.000 მოხუცებულ მცხოვრებზე (55—60 წ.) კვდებოდა 54 სული, 1911 წელს კვდებოდა მხოლოდ 19 სული. საშუალოდ ევროპაში 100 დაბადებულზე წლამდე კვდებოდა 20,18 საუკ. მე-19 ბოლოში კი მხოლოდ 10 სული. მიუხედავად საშინელი სოციალური სენებისა როგორიცაა ტუბერკულიოზი, ვენერიზმი. სრული იმედი იყო, რომ თუ არა იმპერიალისტური ომი თუ არა ყოველწლიური სიკვდილიანობა ომის წინა დროის ევროპისა შესაძლებელია განახევრებულიყო.

მსოფლიო ომმა შესწყვიტა ეს ევოლიუცია. ჯარში გაწვეულთა შორის დაახლოებით ბრძოლაში დახოცილა 8 მილიონი; 3 მილიონი კი დაიღუპა სხვადასხვა სენებისაგან. რუსეთმა (უპოლონეთოდ) ომის დროს დაჰკარგა 3 მილიონი სული ბრძოლის ველზე. არც სახლში დარჩენილი მოსახლეობა იყო კარგ მდგომარეობაში. მაგ.: ინგლისში სიკვდილიანობა ომის დროს 12 პროც. იმატა წინა წლებთან შედარებით. ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეგრეთ წოდებული „ისპანკის" ეპიდემია პირდაპირი შედეგი იყო ომისა. დაბადებათა რიცხვმა იკლო ყოველგან ევროპაში ომის დროს. ინგლისში დაიბადა 600.000 ნაკლები, ვიდრე ომამდე, საფრანგეთში 1.000000 მეტი, იტალიაში 1.300.000-მდე. გერმანეთის დეფიციტი კი უდრის 2.900.000 სულს, რუსეთის მდგომარეობა კი უფრო ცუდი იყო. ომის გათავებისას ბლოკადამ, შიმშილმა და ეპიდემიებმა უამრავი მსხვერპლი შეიწირა. რუსი სტატისტიკოსები ანგარიშობენ რუსეთის დანაკლისს 1914—1920 წ. 21 მილიონ სულს—154 მილიონი მცხოვრებლებიდან, რაც უდრის 13,6%. მაგრამ თუ ავიღებთ მუშა ჰასაკს 16—49 წლამდე ეს პროცენტი უფრო გადიდდება, ადის 20 პროც. და თუ ავიღებთ სპეციალურად მუშა ჰასაკს, მამაკაცების პროცენტი დანაკლისისა უდრის 29 პროცენ-მდე. ამას თუ მოუმატებთ, რომ დაზარალებულია უმთავრესად ღონიერი, სქესობრივი მომწიფებული ჰასაკი, უდავო იქნება, რომ მომავალი მატება მოსახლეობის ასე სწრაფად არ იქნება აღდგენილი როგორც წინეთ იყო.

საქართველოს შესახებ დაწვრილებითი ცნობები მხოლოდ ეხლა მუშავდება. მაგრამ გადაჭრით შემიძლია განვაცხადო, რომ სანუგეშო არაფერი იქნება. ცნობილი მეცნიერი ტელეკის გამოკვლევით პროფესიული სენები და დამავება გახშირდა ომისა და ომის შემდეგი დროიდან. ომის დროს მთელი მეცნიერების ყურადღება მიქცეულია, რომ რაც შეიძლება საშინელი მავნე რამ გამოიგონონ „მტრის" გასანადგურებლად. (ჩვეულებრივი, ხალხისათვის საკეთილდღეო მეცნიერული მუშაობა სწყდება, ახალგაზრდა მეცნიერები უნდა გაემგზავრონ ფრონტზე და თავისი შუბლი შეუშვირონ ცხელ ტყვიას კაპიტალიზმის ინტერესებისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის საჭიროა აზრთა გამოკვლევათ გაცვლა, ერთმანეთთან მისვლა ეს ხომ ყველაფერი შეუძლებელია. ომის დროს როგორ მოდუნდა მეცნიერება მეცნიერების ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანეთი.

კერძოთ ისეთი პატარა ხალხისათვის, როგორიც ჩვენი ერია ომის აუწერელი უბედურებაა. ჩვენ ახალა ვიწყებთ სახელმწიფოს შენებას, კულტურის ყველა დარგებში ეხლა იფურჩქნებიან. ცხადია, რომ ომის სუსხი, ყველაფერს ამას მოსპობს და თუ ჩვენ მიწა-წყალზე გაიმართა ომი, ნანგრევების მეტი არაფერი დაგვრჩება. ამისათვის შევიგნოთ ყველამ, რომ ომზე დიდი უბედურება ჩვენთვის არაფერია, რომ მთელი ჩვენი არსებით ვებრძოლოთ ომის მოციქულებს და თუ ეს ფიალა მაინც არ აგვშორდება ერთად მთლიანად შევებრძოლოთ იმათ, ვინც ომის დროს სისხლის გადასახადს არ იხდის, მხოლოდ ისქელებს ჯიბეს და თავისი პირადი ანგარებისათვის ღვრის ხალხის სისხლს.

რა უნდა ვაკეთოთ ახლა? ვიშრომოთ დაუღალავათ ისევ ისე, როგორც ვშრომობდით და ვმუშაობდით. ომის საფრთხის წინაშე აღმშენებლობა არ უნდა შეჩერდეს, ეს საწინდარია გამარჯვებისა.

და დღესაც ეს მუშაობა მართლაც არ სწყდება. აი მარტო ჩვენ დარგში. გუშინ ჩაუყარეს საძირკველი ტუბერკულიოზურ დისპანსერს. შენობა დაჯდება მილიონზე მეტი. მაისის განმავლობაში გავხსენით ორი ვენეროლოგიური დისპანსერი თელავში და გორში. გავხსენით ივნისის განმავლობაში ორი ახალ სამალარიო სადგური გორში და ბორჩალოში. ვემზადებით ორ დისპანსერის გასახსნელად ბათომში და ფოთში. თბილისში მოხდა რეორგანიზაცია ორი დიდი დაწესებულებების: ბაქტერიოლოგიურ და ტროპიკულ ინსტიტუტებისა, რომელნიც დაიწყებენ დიდ სამეცნიერო მუშაობას. ზაჰესი ხომ ფაქტია. ქუთაისი ხომ გაცოცხლდება რიონჰესით. შეიძლება დღეს თუ ხვალ იფეთქოს ნავთის შადრევანმა ოფეთში თუ სუფსაში. ახალი ქარხნები რაც შეიძლება ჩქარა უნდა აშენდეს. როგორც ხედავთ ჩვენ გვაქვს რაც უნდა დავიცვათ ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა ემიგრაციისადმი მხოლოდ ერთი უნდა იყოს:

თავი დაგვანებეთ, ომის ალში ნუ გაგვხვევთ, საქართველოს ნუ გახდით პატარა პაიკათ სისხლიან ჭადრაკის ველზე. თუ ომი მაინც მოგვახვიეს თავზე, ყველა უნდა იყოს თავის საგუშაგოზე.

ივ. ლორთქიფანიძე.

# ომის საშიშროების წინ

მეცნიერებას აქვს უაღრესად საერთაშორისო მნიშვნელობა. რომელისამე ქვეყნის მეცნიერებმა რომ კარი ჩაიკეტონ და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა მოსპონ, ეს უკვე იქნება მეცნიერების დასამარება იმიტომ, რომ მიმდევრობას აქვს მეცნიერებისათვის ძირითადი მნიშვნელობა და თუ მეცნიერების ერთსა და იმავე დარგში მკვლევარმა არ იცის ის, თუ რას აკეთებს მეორე, იგი ძალაუნებურად ბნელი გზით მიდის და ასეთ შემთხვევაში მეცნიერების წარმატება ფერხდება. ხოლო კაცობრიობისთვის ასეთ კარჩაკეტილობის შექმნას უქადის ურთიერთობის ისეთი, ერთად-ერთი დარღვევა, რომელსაც ქმნის იმპერიალისტური ომი. ომი— ეს არის უდიდესი ბოროტმოქმედება იმდენად, რამდენადაც ერთისა თუ მეორე ქვეყნის მთავრობა, ომის ატეხით, წინასწარ და განზრახ უთხრის სამარეს მეომარ მხარეთა საუკეთესოს, ძალღონით შემოსილ ახალგაზრდობას. ამ ახალგაზრდათა შორის, რასაკვირველია, იღუპება მრავალი მეცნიერული ძალებიც, ისეთი ძალები, რომელთა შორის, შესაძლოა იყვენ ახალი ნიუტონები და სხვა ისეთი პირები, რომელთა ნიჭსაც, ვინ იცის, ეგებ შეეძლო მთელი კაცობრიობის ხსნა ყოველისავე უბედურებისა და განსაცდელისაგან, რომელთაგანაც იტანჯება დღევანდელი კაცობრიობა.

იმპერიალისტური ომი არის კოლექტიური მკვლელობა, რომელიც არაფრითაც არ განსხვავდება კერძო ადამიანის მკვლელობისაგან. რიცხობრივობის გარდა, და თუ კერძო ადამიანს ყოველი ქვეყნის კანონმდებლობა სჯის მკვლელობისათვის სასტიკი კანონით, რატომაც არ უნდა ისჯებოდეს ასეთივე კანონით, მაგალითად ინგლისის კონსერვატორული მთავრობა, რომელიც აწარმოებს წინასწარ განზრახულ კოლექტიურ მკვლელობას, რომელსაც სურს მთელი მსოფლიო გაახვიოს ახალი მსოფლიო ომის ალში. ამიტომაც თვალსაჩინოა ის მოვლენა, რომ

ყველა კულტურულ ტომთა მეცნიერნი, ბოლო ხანებში, მთელი თვისი ძალღონით ეწინააღმდეგებოდენ ომის საშიშროებას და მოწინააღმდეგე ქვეყნების მეცნიერნი სწორეთ ომის საშიშროების წინეთ ანვითარებდენ ურთიერთ შორის უაღრეს სოლიდარობას.

დღესაც კულტურული ქვეყნები ასეთ საშიშროების წინაშე იმყოფებიან და ყველაზე მეტად გასაოცარი ასეთი საშიშროების დროს არის ის, რომ საბჭოთა კავშირი რომელიც მთელი თვისი შეგნებით არის ომის წინააღმდეგი, შესაძლოა, მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ ძალდატანებით ჩაბმულ იქნეს ომში და ამით შეფერხდეს, მეტიც რომ არა ვსთქვათ, მისი მშვიდობიანი ცხოვრების მსვლელობა და ისტორიაში ჯერ უმაგალითო სოციალისტური მშენებლობა.

როგორი პასუხი უნდა გასცენ მეცნიერების წარმომადგენლებმა დღევანდელს მომენტს?

ჩვენი აზრით, უნდა დაარსდეს მთელ დედამიწის ზურგზე მეცნიერთა სოლიდარობის კავშირი ომის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ეს კავშირი უნდა განუწყვეტლივ მოქმედებდეს არა თუ ომის საშიშროების ხანაში, არამედ მუდამ და, რადგანაც ყველა კულტურულ ხალხთა შორის მეცნიერთა ხმას აქვს დიდი მნიშვნელობა, მით უმეტეს მთავრობათათვის, ამ კავშირმა უნდა ხმამაღლა იქადაგოს ომის წინააღმდეგ, უნდა დაამყაროს მოსახლეობაში მშვიდობიანი და პატიოსანი შრომის პატივისცემა და ბურჟუაზიის ძალმომრეობის სიძულვილი.

**ექიმი ივანე ელიაშვილი**

ვბეჭდავთ პატივცემული პროფ. დოქტორი ივანე ელიაშვილის ამ პატარა შენიშვნას და, სამწუხაროდ, იძულებული ვართ მას პატარა შენიშვნა დაურთოთ. ჩვენ არა გვწამს მისი იდეის განხორციელების შესაძლებლობა მანამ, სანამ არსებობს მსოფლიო იმპერიალიზმი. მანამდე მეცნიერება თუ კავშირს არ შეადგენენ ომის წინააღმდეგ, სრულიად პირიქით დღეს მთელი მეცნიერება და მეცნიერები მხოლოდ და მხოლოდ ომის საქმეს ემსახურებიან.

**რედაქცია.**

# რას გვეუბნება ციფრები

## I.

ქვემოთ მოყვანილი ციფრები ეხება თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობას ქ. თფილისში. ეკო-ეკონომიური და კულტურული აღმშენებლობის დარგებში. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში ქ. თფილისში კომუნალური და კულტურული აღმშენებლობა სწრაფი ტემპით ვითარდება. ამ მხრით ბევრ დარგში თფილისმა არამც თუ მიაღწია 1913 წლის დონეს, არამედ ბევრათაც გაუსწრო მას.

თფილისი ადმინისტრატიული და სავაჭრო ცენტრია არა მარტო საქართველოსი, არამედ ამიერ-კავკასიისაც. აქ არის მოთავსებული ამიერ-კავკასიის ფედერ. რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებები. თფილისი მთავარი ძარღვია საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებისა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მის ჩქარი ტემპით ზრდას. უკანასკნელი აღწერის ცნობებით თფილისის მოსახლეობის ყოველწლიური ზრდის პროცენტი 4,8 პროცენტს უდრის, რაც იშვიათი მოვლენაა როგორც რუსეთის, ისე ევროპის ქალაქებში. თფილისის მოსახლეობის კომუნალურ-კულტურული და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მთავარი მიზანია თფილისის აღმასკომის საქმინობისა. და უნდა ითქვას, რომ ქალაქის მმართველობა ყოველგვარ ზომებს ღებულობს ამ ამოცანის შესასრულებლად. აღმასკომის ენერგიულ მუშაობას კომუნალურ მეურნეობის აღდგენა-აღორძინებისათვის უდიდესი შედეგები მოყვა. აღმასკომის საქმიანობა ქალაქის ცხოვრების სამ უმთავრეს დარგს შეეხება: **კომუნალურს, კულტურულსა და სანიტარულ ჰიგიენურს.** განვიხილოთ თვითეული დარგი ცალ-ცალკე:

### ა. კომუნალური მეურნეობა

კომუნალური მეურნეობა შემდეგი დარგებისაგან შესდგება: ტრამვაი, წყალსადენი, აბანოები,სასაკლაო. ელექტრო-სადგურები, საბინაო აღმშენებლობა, ქალაქის კეთილი მოწყობა და სხვ. ყველა ზემოთ დსახელებულ დარგებში უკანასკნელ წლებშიშემდეგ მიღწევებს აქვს ადგილი:

### 1. ტრამვაი.

ტრამვაის მდგომარეობის მთავარი მაჩვენებელია ხაზზე მომუშავე რონოდების რაოდენობა, რონოდების მიერ განვლილი მანძილი და რონოდების ბრუნვა. ამ მხრით უკანასკნელ წლებში შემდეგი მდგომარეობაა:

დღეში ხაზზე მომუშავე რონოდების საშუალო რიცხვი:

| | |
|---|---|
| 1923 წ. | 46—100,0% |
| 1924 „ | 62—135,8% |
| 1925 „ | 109—236,9% |
| 1926 „ | 160—347,8% |

1923 წელთან შედარებით რონოდების რიცხვი 1926 წელში 247,8 პროც. გაიზარდა, რაც უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

იმატა რონოდების მიერ განვლილ მანძილმაც.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1923 წ. | 1.883.350 | კილომ. | 100,0% |
| 1924 „ | 2.509.335 | „ | 133,2% |
| 1925 წ. | 3.985.149 | „ | 211,6% |
| 1926 „ | 5.772.099 | „ | 306,5% |

რონოდების ბრუნვა უდრიდა:

| | |
|---|---|
| 1923 წ. | 253.799—100,0% |
| 1924 „ | 339.266—133,2% |
| 1925 „ | 585.043—230,5% |
| 1926 „ | 813.261—320.4% |

გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი უდრიდა:

| | |
|---|---|
| 1923 წ. | 14.444.209—100,0% |
| 1924 „ | 22.598.368—156,5% |
| 125 „ | 36.044.893—249,5% |
| 1926 „ | 48.769.420—337,6% |

საშუალოდ თვეში მოდის ტრამვაით მოგზაურობა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1923 წ. | 5,2 | ჯერ | 100,0% |
| 1924 „ | 7,2 | „ | 138,5% |
| 1925 „ | 10,8 | „ | 207,7% |
| 1926 „ | 14.3 | „ | 275,0% |

ტფილისის ტრამვაისთან არსებობს მძლავრი ელექტრო-სადგური, რომლის მიერ გამომუშავებული ენერგია კილოვატ-საათებში უდრის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1923 წ. | 1.949.117 | კ.-ს. | 100,0% |
| 1924 „ | 2.414.056 | „ | 123,8% |
| 1925 „ | 3.807.973 | „ | 195,4% |
| 1926 „ | 5.837.461 | „ | 299.5% |

ტრამვაის ფინანსიური მდგომარეობა ასეთია:

| | შემოსავალი | | გასავალი | |
|---|---|---|---|---|
| 1923 წ. | 817.375 მ. | —100,0% | 709.550 მ. | 100.0% |
| 1924 „ | 1.503.859 „ | —184,0% | 1.134.297 „ | 159,9% |
| 1925 „ | 2.552.363 „ | —312,3% | 2.321.574 „ | 327.2% |
| 1926 „ | 3.266.547 „ | —399,6% | 3.119.919 „ | 439,7% |

როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, ტრამვაის მდგომარეობა ომისა და რევოლიუციის პერიოდთან შედარებით დიდათ გაუმჯობესდა, მისი აღდგენა-განვითარების საქმე მეტად ჩქარი ტემპით მიდის. 1923 წელთან შედარებით 1926 წელში იმატა: რონოდების მიერ განვლილმა მანძილმა 206,5 პროც., რონოდების ბრუნვამ—220,4 პროც., გადაყვანილ მგზავრთა რიცხვმა 237,6 პროც., მოსახლეობის მიერ ტრამვაით სარგებლობამ -175,0 პროც., ელექტრო-სადგურების მიერ გამომუშავე-

ბულმა ენერგიამ —199,5 პროც., ტრამვაის შემოსავალმა 299,6 პროც., გასავალმა 339, პროც.

ქალაქის ალმასკომი არ კმაყოფილდება ტრამვაის ექსპლოატაციით, მისი მთავარი საზრუნავი იყო ახალი ხაზის გაყვანა, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში. გაყვანილი იქნა ახალი ხაზი სომხის ბაზარში, გაყვანილი იქნა ძველი ხაზი ნაძალადევში და დიდუბეში, გაყვანილი იქნა მეორე ხაზი პლეხანოვის პროსპექტზე და წყნეთის ქუჩაზე. შეძენილი იქნა 100.000 ფუთი რელსი ძველი ლიანდაგების გასაახლებლად, რაც 500000 მანეთი დაჯდა. შეკვეთილია 100000 ფუთი ახალი რელსები, რისთვისაც გადადებულია 600000 მანეთი. შეკვეთილია მოსკოვის ქარხნებში ახალი რონოდა, რომელთა ღირებულება 2 მილ. მანეთს უდრის. ძველი საჰაერო ქსელი თითქმის ყველგან ახალი ქსელითაა შეცვლილი, რაც 20000 მანეთი დაჯდა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრითაც ტრამვაიში უკანასკნელ წლებში დიდ მიღწევებს აქვს ადგილი: 1924—25 წელს ერთ თანამშრომელზე მოდიოდა გადაყვანილი მგზავრი—2.448, 1925—26 წელს—2,771 ანუ 13,1 პროც. მეტი. შემოსავალი მოდიოდა ერთ თანამშრომელზე 1924—25 წელს—144 მანეთი, 1925—26 წელს კი—156 მან., რაც იძლევა ზრდას 8,7 პროც.

### 2. წყალსადენი

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენახვა და ქალაქში სისუფთავის დაცვა დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული ქალაქში წყლის მიწოდების საქმე. თფილისის წყალსადენი საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადასვლისას მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. ომისა და რევოლიუციის პირველ წლებში წყალსადენის კაპიტალურ შეკეთებას ადგილი არ ჰქონია. ძველი მანქანები და მოწყობილობანი გაცვდა, მათი შეკეთება-აღდგენა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. თფილისის ალმასკომი არ მოერიდა ამ ხარჯს და თავიდანვე ენერგიულად მოკიდა ხელი წყალსადენის აღდგენას, თანდათანობით შეკეთებული იქნა ძველი მანქანა-მოწყობილობები, შეძენილი იქნა ახალი მოწყობილობანი. უკანასკნელ წლებში წყალსადენი თითქმის სავსებით აღდგენილია, მისი ტეხნიკურ განყოფილებათა გაუმჯობესებამ საგრძნობლად შეამცირა ზედნადები ხარჯები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო წყალსადენის პროდუქციისა და აბონენტების რიცხვის ზრდას, რომელიც შემდეგ სურათს გვაძლევს:

| წლები | გადენილია წყალი | შედარ. % | აღრიცხულია აბონენტები | აღრიცხ. შედ. % | [illegible] % |
|---|---|---|---|---|---|
| 1913 წ. | 322.657.000 ვედ. | 100,0% | 252.514.000 | 100,% | 24,1 |
| 1925 „ | 436.417.216 ვედ. | 131,2% | 271.840.241 | 107,7% | 37,7 |
| 1926 „ | 408.463.442 ვედ. | 122.5% | 288.659.816 | 114,% | 29,3 |

უკანასკნელ წელში წყლის აღრიცხვის გაუმჯობესება გამოწვეულია ახალი წყალსაზომების შეძენით. წყლის აღრიცხვის გაუმჯობესებამ გაადიდა აბონენტთა რიცხვიც, მუშათა რაიონებში აბონენტთა რიცხვი 1926 წელს 1913 წელთან შედარებით 242 პროც. გაიზარდა. წყალსადენის ფინანსიური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა:

შემოსავალი და გასავალი უდრიდა:

| | შემოსავალი. | | გასავალი. | |
|---|---|---|---|---|
| 1923 წ. | 606.076 მ. | —100,0% | 678.678 მ. | —100,0% |
| 1924 „ | 844.817 „ | —139,4% | 782.256 „ | —115,3% |
| 1925 „ | 1.159.299 „ | —191,3% | 774.764 „ | —114,2% |
| 1926 „ | 1.382.605 „ | —228,1% | 853.342 „ | —125,7% |

1926 წელს 1913 წელთან შედარებით წყალსადენის შემოსავალი 128, პროც. გაიზარდა, გასავალი—25,7 პროც. შემოსავალი გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე გასავალი.

ამჟამად ალმასკომი დიდ მუშაობას აწარმოებს ნატახტარის რაიონში ახალი წყაროების გამოსარკვევად. სპეციალისტების აზრით ნატახტარის წყაროები მეტად მდიდარია და სავსებით შესძლებს ქალაქის წყაროს წყლით დაკმაყოფილებას.

მ. კვატაშიძე.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მოწოდება ახალგაზრდა მარქსისტებისადმი

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტიის რევოლიუციონური ნაწილის გამოფხიზლების პროცესმა ფართე ხასიათი მიიღო განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ავანტიურის შემდეგ. და აბა ვისთვის შეადგენს საიდუმლოებას, რომ აგვისტო-სექტემბრის სისხლიანმა ავანტიურამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებას.

აგვისტოს ავანტიურა იყო საქართველოს ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამღუპველი პოლიტიკა, რომლის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ჩვენი ყოფილი პარტიის ძველმა მუშებმა და გადამჭრელი ზომები მიიღო აგვისტო-სექტემბრის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ 1923 წ. ჩამოშორდა თავის ორგანიზაციას და გვერდში ამოუდგა თავის მოძმე რევოლიუციონურ კომპარტიას.

დღევანდელ სინამდვილეში ყოფ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციას არავინ მიჰყვება, გარდა რამოდენიმე გზააბნეულისა. ხოლო აღსანიშნავია, რომ ყოფ. ახ. მარქსისტთა ერთმა ნაწილმა თავი პოლიტიკის გარეშე გამოაცხადა და თავი მართლაც აპოლიტიზმს მისცა. რომ ახალგაზრდობის ეს ნაწილი განთავისუფლდეს ამ მდგომარეობიდან, დაარსდა ყოფ. ახალ. მარქსისტთა ცენტრალური ბიურო, რომელმაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში საგრძნობი რიცხვი ქართველი ახალგაზრდებისა ჩააბა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში. ამ მიმართულებით ის დღესაც განაგრძობს მუშაობას.

დღეს, როცა საბჭოთა კავშირს და კერძოთ საქართველოს ყოველი მხრიდან ემუქრებიან, როცა მტერი მზად არის ლახვარი ჩასცეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობას, ლახვარი ჩასცეს საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას, ყოფ. ახ. მარქსისტთა თბილისის აქტივის გაფართოებული თათბირი ერთხელ კიდევ მოუწოდებს საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტებს—უკუაგდონ ბუტიაობა და აპოლიტიზმი, რომელიც აშკარად მიმართულია ჩვენი ქვეყნის ეროვნულ განვითარებისა, სოციალიზმისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ.

დღევანდელი მომენტი ყველას ერთნაირად გვავალებს შევქმნათ ერთი მთლიანი ფრონტი რევოლიუციასთან რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. ეს არის დღეს ჩვენი ისტორიული მისია.

გაუმარჯოს მთლიან მუშათა ფრონტს!

გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს საქართველოს რევოლიუციონურ ახალგაზრდობას!

**თბილისის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა აქტივის გაფართოებული თათბირი.**

---

**სარედაქციო კოლეგია.**

---

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.